№ 41
სამშაბათი 19 თებერვალი 1902 წ.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877–1902

ივერია

№ 41
სამშაბათი 19 თებერვალი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი" № 838

საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 თებერვლიდან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია"
ღირს ცხრა მანეთი და ათი შაური (9 მ. და 50 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:
ფილისში:—„ივერიის" რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა)
თაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ქომში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ. ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ)
ნში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
რაპანში—პართენ ნასიძესთან.
ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება ქუთაისსა და ხონში ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.
საფოსტო ადრესი: **Тифлисъ, Редакція „Иверіа"**. ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი.
საყველიერო რეპერტუარი
პარასკევს, 22 თებერვალს,
I
ორი ბმირი
ისტ. დრამა გურულების ცხოვრებიდგან.
II
საღამოს ერთი ცხვირი ხეირია
ვოდევილი 1 მოქ. სუნდუკიანცისა.
—
შაბათს, 23 თებერვალს, 1902 წ.
ბატონ გუნიას საბენეფისოდ
I
ქალა აღმართსა ჰხნავს
კომ. 4 მოქ. ვ. გუნიას მიერ გადმოკ. სოლოვიოვიდგან.
II
ანდერძით
დრამატიული სურათი 1 მოქმედ.
—
კვირას, 24 თებერვალს,
უკანასკნელი წარმოდგენა
I
ფული და ხარისხი
კომედ. 3 მოქმ. აზიანისა
II
ორღანო და ლეკვი
ფარსი 3 მოქ. გადმოკ. დ. ერისთავის მიერ.
დასაწყისი 8 საათზედ.
ფასები ჩვეულებრივია.
რეჟისორი ვ. გუნია.

„ქართველ-ქალთა ამხანაგობის"
სამკერვალო და სახელოსნო
სკოლაში
იღებენ ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულსა და ამოჰკერვენ ნიშნებს (მეტკებს).
ბარონის ქუჩა № 12. (5—უ.—4)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების
გამგეობამ
გადასწყვიტა ქართულის სცენის არტისტის
ვ. ა. აბაშიძის
25 წლის სასცენო
მოღვაწეობა
იდღესასწაულოს ამა წლის 10 მარტს. გამგეობა, აცხადებს-რა ამას საყოველთაოდ, სთხოვს იმათ, ვისაც ჰსურთ მონაწილეობა მიიღონ ამ დღესასწაულში, მიჰმართონ ხსენებულ გამგეობას და წინდაწინვე აცნობონ თავიანთი სურვილი.
თავად-აზნაურთა ქარვასლა, დრამატიულ საზოგადოების კანტორა. (5—უ.—3)

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი
ე ქ ი მ ი
სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ.
ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თუღლაევის სახლი.

ე ქ ი მ ი
ვახტანგ ღამბაშიძე
სწამლობს შინაგანს და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. რეუტის ქუჩა № 24.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.
დ ი ლ ა ო ბ ი თ:
გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. საკოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
უ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.
ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:
ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.
ა. ნ. შააკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვინერიულ ავადმყოფობათა.
გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.
გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაურია, დარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დ ი ლ ი თ:
პ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.
ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.
ნ. ა. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
ი. კ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.
კ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.
ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.
სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი. სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.
ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.
გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა. 7—8 საათ.
კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:
გ. გ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

დედათა განათლების საქმე ჩვენში.

ქალების მდგომარეობა ჩვენში სწორედ ვერაფრად სანუგეშოა. სიცოცხლე გაქვთ, ნიჭიერი ქალი ბევრი გვყავდეს, მაგრამ განათლებულთა რაოდენობისა-კი რა მოგახსენოთ!

მართლაც, ნამდვილის ცოდნითა და ცნობის მოყვარეობით აღჭურვილ ქართველ ქალს თითქმის ვერსად შეჰხვდებით. უნიჭო და უხეირო სტუდენტი ათას წილ უფრო საინტერესოა ამ მხრივ, ვიდრე ნიჭიერი, მაგრამ ფუქსავატი, ცუდ გარემოებათა შორის აღზრდილი ქალი. თვით ქალებიც ჰგრძნობენ ამას და ნიჭიერებიც-კი მათ შორის თვით უნიჭო სტუდენტებსაც აღმერთებენ.

ნუ-თუ ბუნების შესაფერია ეს მოვლენა? რად უნდა დაეხშოს გონებრივის ზრდის კარები ადამიანს, თუნდა იგი ქალიც იყოს. რატომ ვზრუნავთ უნიჭო ვაჟის გონების ამაღლებისა და განათლებისათვის და ნიჭიერ ქალს-კი გაფუჩქნისათანავე ვუხშობთ ბუნებისაგან მომადლებულ მდიდარ ნიჭს? „მიეცით ნიჭსა გზა ფართო",—სთქვა პოეტმა.

რამდენია ჩვენში, თვით მდიდართა შორისაც-კი, რომ თავის ქალს სამ-ოთხ კლას ზევით აღარ ასწავლის: მეტი სწავლა რა საჭიროა ქალისათვისაო.

ჩვენ ვალდებულნი ვართ აღვზარდოთ და განვანათლოთ ნიჭი, ბუნებისაგან მომადლებული, სულ ერთია, ქალისა არის იგი თუ ვაჟისა. ნიჭი ნაყოფიერი მიწაა, რომელიც უხვ მოსავალს მოგვცემს, თუ დაიმუშავე, კაპიტალია, რომელიც, თუ აწარმოე, ერთი ასად გადიქცევა.

მიზეზი ხსენებულის სამწუხარო მოვლენისა არის ოჯახი. ჩვენი ოჯახი სიყრმითვე უნერგავს ქალიშვილს ცრუ აზრს, ვითომც მისი ერთად-ერთი დანიშნულება გათხოვება იყოს. დედანი აქეზებენ თავიანთ ქალიშვილებს, რომ როგორმე თავი მოაწონონ ყმაწვილებს და მახეში გააბან. ყოველს ახალგაზრდას, თუ კარგი ჯამაგირიანი ადგილი აქვს, ყველგან ისე უყურებენ, როგორც სასურველ სასიძოს. მუსაიფი ქალსა და ვაჟს შორის ტრიალებს უმთავრესად საამიკო საგნებზე.

ამგვარად ქალი სიყრმითვე შეჩვეული იმ აზრს, რომ იგია უპირველესად წარმომადგენელი სქესისა, გაჩენილი ტრფობისათვის. სიყვარული არის თითქო მთავარი მისი სამფლობელო, რომანები—მხოლოობითი საგზალი მისის სულისა. სიცოცხლე, მისის ფიქრით, მხოლოდ იქ არის, სადაც სიყვარულია, გარეშე ამისა სიცოცხლე არ არის. მეცნიერება, ფილოსოფია, საზოგადო საქმე, მშობელი ქვეყანა და მისი ბედი—ყოველივე ესე უცნობი ხილია მისთვის.

ცხადია, მოიპოვება თითო-ოროლა განათლებული ქალი, რომელიც ხსენებულ იდეალს ასცილებია, მაგრამ მხოლოდ თითო-ოროლა. საზოგადოდ-კი უმრავლესობა ჩვენის ქალებისა წარმოადგენს ტიპიურ სახეს ამ სულიერ არაფრობისას.

სახის სილამაზე, მშვენიერება - ეს კეთილშობილი თვისება, რომელიც სულს ამშვენებს, ჩვენში ზნე-დაცემულობის მიზეზად გამხდარა! ვინც უფრო ლამაზია, იმას მეტი მოტრფიალე ჰყავს და უფრო მალე ეცემა ზნეობით, სულით!

ნუ-თუ ბუნების წინაამდეგი არ არის ეს მოვლენა?! ნუ-თუ მშვენიერება იმიტომ უნდა ჩნდებოდეს ქვეყნად, რომ მის ნიადაგზე ფუქსავატობა აღმოცენდეს?!

დროა შევიგნოთ, რომ ქალი უპირველესად ადამიანია და მხოლოდ შემდეგ სქესის წარმომადგენელი, რომ ბუნებას მისთვისაც ვალად დაუდვია ყველაზე უმაღლესი შრომა, გონებრივი, ფიზიკური და ზნეობრივი, და არა მხოლოდ აშიკობა; რომ ქალსა და ვაჟს შორის, არა თუ შეიძლება, არამედ აუცილებელია ამხანაგობა, მეგობრობა შრომის ნიადაგზე, რომ ის უფსკრული, რომელიც ჰყოფს ვაჟსა და ქალს ერთმანერთისაგან, არის აზიურ კულტურის ნაშთი.

მაშ, საჭიროა სულიერი ერთობა ნაყოფიერის შრომის ნიადაგზე. ამისათვის-კი საჭიროა ქალები სხვა, უფრო მაღალ, იდეალს ეტრფოდნენ, ვიდრე ახლა.

რათა ქალები ადამიანებად აღვზარდნენ და არა მხოლოდ ქალებად, ამისათვის ორი საშუალებაა. ერთი საშუალება თვით ოჯახია. ამ მხრივ მწერლობას ბევრი არა შეუძლიანრა. ოჯახი ემორჩილება ათას-გვარ სოციალურ გავლენას, რომლის წინააღმდეგაც ცალიერი ქადაგება უძლურია. მეორე საშუალებაა სკოლა, რომელიც ძლიერი კულტურული ძალაა და რომელსაც, სამწუხაროდ, შესაფერ ყურადღებას არ აქცევს ჩვენი საზოგადოება.

აწ არსებულ ქალების სასწავლებელთა შორის ვერც ერთი ვერ აკმაყოფილებს ჩვენს იდეალს. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ მათ შორის არც ერთში ბუნების-მეტყველებას შესაფერი ადგილი არა აქვს დათმობილი. ბავშვის აღზრდა მარტო წიგნით შეუძლებელია. ბავშვი უნდა იზრდებოდეს ბუნების სიახლოვეს, ბუნების მიდამოთა შორის, მეთოდი სწავლისა უნდა იყოს დამყარებული თვალ-საჩინოობაზედ. საუკეთესო წიგნი ბავშვისა—და აგრეთვე დიდისა ბუნებაა. უმთავრესი დრო მოსწავლემ ბუნების გაცნობას უნდა მოანდომოს. მეურნეობა აუცილებელი დარგი უნდა იყოს სასწავლო საგანთა შორის, მარტო იმიტომ-კი არა, რომ მოსწავლე მეურნედ მოვამზადოთ, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ ფიზიკურად აღვზარდოთ.

ბავშვი არ უნდა იჯდეს იმდენ ხანს, რამდენს ხანსაც ჰზის ახლანდელ სასწავლებლებში, რომ ჯანით არ დაუძლურდეს და ტანით არ დასახიჩრდეს.

ჯანმრთელობა ქალისათვის ნაკლებ საჭირო არ არის, ვიდრე [illegible] მუშაობას ითაკილებს მხოლოდ ცრუ-მორწმუნეობით გაჟღენთილი კაცი.

უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი შვილები, ქალები იქნებიან თუ ვაჟები, სულითა და ჯანით მთელნი გამოვიდნენ. და ხსენებულის ტიპის სკოლა საუკეთესო საშუალებაა ამისათვის.

როგორც სულის სიხალისე შეუძლებელია იქ, სადაც მხოლოდ წიგნებს ჩაჰკირკიტებენ, აგრეთვე ჯანის სიხალისე, ეს უპირველესი შედეგი ჯანმრთელობისა, შეუძლებელია, როცა ჯანით არ მოძრაობს, მტკივანია.

მაშ, საჭიროა დავიარსოთ აუცილებლად ქალთა სკოლა. სკოლა უნდა იყოს ისეთი, სადაც ფართოდ და თავისუფლად იფურჩქნებოდეს ქალიშვილის ნორჩი ნიჭი, სადაც სული სულიერ ხალისს უნდა იძენდეს და ჯანი ძალას და სიმრთელეს.

ჩვენს თავად-აზნაურობას ყოველთვის შეუძლიან გამოსთხოვოს მთავრობას ნება-რთვა ამგვარის ტიპის სასწავლებლის დაარსებისა.

რაც შეეხება ღონისძიებას, არც ისე ღარიბები ვართ, როგორც ვჩივით. ქეიფისათვის მზადა ვართ ათასობით დავხარჯოთ და ამ გვარ საშვილიშვილო საქმისათვის-კი გროშიც არ გვემეტება.

კარგი იქნებოდა, რომ ქალთა აღზრდის საქმეს ჩვენი შეგნებული ქალები ითავებდნენ. მათ უნდა გამოიჩინონ ამ დიდ საქმეში მთელი თვისი ენერგია და ძლიერი გულის-თქმა, რომლითაც ქალი, მართალი უნდა ვსთქვათ, ბევრად აღემატება კაცს, როდესაც ერთხელვე გულში ამოიჭრის რასმე.

გასილ წერეთელი.

მიწის ძვრის ამბები.

შემახა.

„ტფილისის ფურცელს" სწერენ შემახიიდგან: შემახაში არსებობს პატარა სახლი, რომელიც 1872 წლის მიწის ძვრის შემდეგ ააშენა მაშინდელმა შემახის არქიტექტორმა კასუმბეგმა, როგორც ნიმუში იაფის, მკვიდრის და მიწის ძვრის ამტანის შენობისა. თაოსნობა ამ სახლის აშენებისა იყო მაშინდელის ბაქოს გუბერნატორის სტაროსელსკისა. ეს სახლი აშენებული იყო ქალაქის მიწაზე მახმუდ-აღას ბაღს ახლო და შემდეგ რაღაც სასწაულით მიწაც და სახლიც მახმუდ-აღას ბაღს შიგნით დარჩა. აი, ეს სახლი და აგრეთვე ის ორ-სართულიანი შენობებიც, რომელთა ქვემო სართულები თლილი ქვისაგან და კირით იყვნენ ნაშენნი და ზემო სართულები-კი ხისა ჰქონდათ, ყველანი გადარჩნენ მაგალითად: მაზრის სამმართველო, მომრიგებელი განყოფილება და რამდენიმე სხვაც. შემახელები აპირებენ თხოვნას: 1) არ გააუქმონ ქალაქი შემახა; 2) ქალაქის ხელ-ახლავ ასაშენებლად მიეცეს მათ უსარგებლოდ სესხი ოცი წლის ვადით, რომ თითოეულს მათგანს შეეძლოს აიშენოს ახალი და მკვიდრი სახლი და 3) განათავისუფლონ მცხოვრებლები და მათი ახალი შენობები ყოველ გვარ გარდასახადისაგან ათის წლით, როგორც ეს ჰქმნა მთავრობამ 1859 წლის მიწის ძვრის შემდეგ.

⁂ თებერვლის 8 დილით, ესე იგი მიწის ძვრის მეცხრე დღეს, შიხმინაზის უბანში ნანგრევებიდგან ამოთხარეს თათრის ბავშვი ქალი იმა-მიუსლიმ ყიზი, რომელიც გულ-შეწუხებული იყო. საღამოს ეს ბავშვი მოსულიერდა და წყალი მოითხოვა.

⁂ თავისის თვალით მნახველნი მოგვითხრობენ, რომ მიწის ძვრის პირველ დღეს ქალაქის ქვემო უბნის საზღვარზე ლალაევის წისქვილს იქით მდინარე ზოგალავას მიდამოში უეცრად მიწის ქვეშიდგან ამოვიდა წყალი და მოედვა მთელ არე-მარეს, მაგრამ მალე გაქრა ისევე და მიწაზე დასტოვა მხოლოდ შლამი. შემიძლიან აღვნიშნო, რომ მიწის ძვრის შემდეგ ზოგიერთს აქაურ წყაროებში წყალმა იმატა.

13 ამ თვეს ღამის ოთხ საათზე ორჯერ ინძრა აქ მიწა, რამაც თავზარი დასცა ისედაც შეშინებულ ხალხს („კასპი").

ახალი ამბავი

⁂ გუშინ-წინ, თებერვლის 17-ს, ქვაშვეთის წირვა და პანაშვიდი [illegible] იქმნა თავის სულის მოსახსენებლად. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად-სამღვდელო კირიონი, თანამწირველად არქიმანდრიტი დოსითეოსი. გალობდნენ ქართული ხოროები სათავად-აზნაურო სკოლისა და მონადირიშვილისა. ხალხი იმდენი დაესწრო პანაშვიდს, რომ ეკკლესია ვერ იტევდა. „განიცადენის" შემდეგ მღვდელმა მამა მ. ტყემალაძემ წარმოსთქვა გარემოების შესაფერი სიტყვა.

⁂ ამ დღეებში შემთხვევა გვქონდა გვენახა გეგმა ქვაშვეთის წმ. გიორგის ახალ ეკკლესიისა, რომლის შენებასაც დღევანდელის ადგილზედ ივნისში უთუოდ შეუდგებიან. გეგმა ამ ახალის, შედარებით ბევრად მოზრდილის, ეკკლესიისა (700 სულს უნდა იტევდეს) წარმოადგენს სამთავრისის ტაძრის კოპიოს და დაცულია მთლად ხასიათი ძველის საეკკლესიო ხუროთ-მოძღვრობისა სამთავრისისა. ეკკლესიის აშენებას დასჭირდება 110,000 მან. მეტი. აქედგან 30,000 მან. ამშენებელს კომიტეტს სესხად გამოუთხოვნია უწმ. სინოდიდგან, დანარჩენს თანხას გამოიღებს თვით ეკკლესია და შეივსება შემოწირულებით, რასაც იმედია, ჩვენი საზოგადოება სრულის თანაგრძნობით შეეგებება. ექსარხოსსა და უწმ. სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორას თანხმობა ამ სესხისა გამო უკვე გამოუცხადებიათ და თავისი აზრი სინოდში წარუგზავნიათ.

⁂ მათი მეუფება იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი თებერვლის 21 შიო-მღვიმის მონასტრის დღესასწაულ დღეს ამ მონასტერში ბრძანდება მწირველი („მწყემსი").

⁂ ავსტრიის საზღვრიდგან ტელეგრამით იტყობინებიან, რომ ვოლოჩისკში დაუჭერიათ პ. ე. ასლანიანცი, რომელმაც ამას წინად ბაქოში 210,000 მანეთი ფულად და ფასიან ქაღალდებით გაიტაცა „ორიონის" საზოგადოებისა და გაიქცა („კასპი").

⁂ გუშინ-წინ, კვირას, 17 თებერვალს, ალექსანდრე ნეველის სამხედრო-საკრებულო ტაძარში ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით სწირა მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა ალექსიმ. წირვის შემდეგ შეკრებილ იქმნა შემოწირულება მლოცველთა შორის. სულ შეიკრიბა 90 მანეთი.

⁂ შაბათს, 16 თებერვალს, დილის 8 საათზე კავკასიის მთავარმართებელს გოლი-

ცინს ბელოქნელმა (ზაქათალის მაზრა) ცნობილმა მებაღემ ჰაჯი-ისმაილ ოღლიმ კრიმგირეის მოხსენებისამებრ, წარუდგინა თავისის ბაღის ხილი, რომელიც ძალიან მოიწონა მისმა ბრწყინვალებამ და დიდი მადლობა გამოუცხადა. მთავარმართებელი დაჰპირდა ჰაჯი-ისმაილ ოღლის, რომ ზაქათალისკენ როცა წამოვალ, შენს ბაღებსაც ვინახულებ და საშუალებას ვიხმარ შენის ნერგების კავკასიის ყოველ კუთხეებში გასავრცელებლადაო.

⁂ 22 თებერვალს ტფილისის საიუნკერო სასწავლებლის შენობაში გაიმართება სალიტერატურო და სამუსიკო საღამო ნ. ვ. გოგოლის სახსოვრად. პირველად წაკითხულ იქნება რეფერატი გოგოლის ნაწერების მნიშვნელობაზე. შემდეგ წარმოადგენენ „რევიზორის“ რამდენსამე მოქმედებას, „დავას“, „შეშლილის წერილებს“ და წაიკითხვენ ამავე მწერლის სხვა-და-სხვა ლექსებს. იმღერებს აგრეთვე სასწავლებლის მუსიკის მოყვარულთა გუნდი.

⁂ **„Новое Время“-ს № 9320-ს** კვირის დამატებაში მოთავსებულია ფოტოგრაფიული სურათები, გრუპებად, პეტერბურგში მყოფ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების ქართველ დეპუტაციათა წევრებისა.

⁂ კახეთის რკინის გზის ამბავი სწორედ რომ წერეთლის (იმერული) აბაზიანი გახდა. არამც თუ მკითხველები აღარ უჯერებენ გაზეთს, არამედ თვით ამის დამწერსაც არა სჯერა, რადგან ბევრჯელ იყო დაბეჭდილი და დავარწმუნეთ მკითხველები, რომ კახეთის რკინის გზა უნდა გაკეთდესო. შარშან სააგენტო დეპეშით გვატყობინებდნენ, რომ ინგლისის კამპანია აკეთებს და ამ თვეში შეუდგებიან მუშაობასაო. აგერ ერთი წელიწადი გავიდა და კრინტიც აღარ დაძრულა ამ საქმეზედ. აი, ეხლაც გავბედავთ და გადმოვბეჭდავთ გაზ. **„Бир. Вѣд.“** № 40-იდამ, სადაც დასტამბულია, რომ კახეთის რკინის გზა უნდა დაიწყონ წელსო. ვაი, თუ ესაც იმერული აბაზი გამოდგეს!?.

⁂ ტფილისის ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულომ წარუდგინა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ანგარიში 1901 წლისა. ამ ანგარიშიდგან, სხვათა შორის, სჩანს, რომ სამხედრო ბეგრისთვის საანგარიშო წელს გაწვეული იყო ტფილისში მცხოვრებთაგან 188 კაცი. გასაწვევ სიაში პირველი ხარისხის შეღავათი ჰქონდა, 58—მეორე ხარისხისა და 20 კაცს—მესამე ხარისხისა. სულ შეღავათის მქონე იყო 282. გაწვეულთა შორის 607 ქრისტიანები იყვნენ, 22—ებრაელი, 9—მაჰმადიანი და 16—მწვალებელი (სექტანტები). პრივილეგიით მოსილ წოდებისაგანი იყო 94, და უპრივილეგიონი—560. ვადა მისცეს განათლების დასრულებამდე—6, ჯანმრთელობის გამოსამჯობინებლად—55. თავისს ნებით ჯარში შევიდნენ სამსახურისათვის—117. სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად გამოდგა 27. ჩარიცხეს მეორე ხარისხის სათადარიგო ჯარის-კაცად 40. დრო მისცეს ჯანით მომწიფებისათვის—71. სამხედრო სამკურნალოებში გაგზავნეს გამოსაცდელად—62, ხელ-ახლად შეამოწმეს სამხედრო ბეგრის გუბერნიის საკრებულოში—5, გაწვევაზე არ გამოცხადნენ—83. სამხედრო სამსახურში ჩარიცხეს 185 და არ მოვიდა ჯარში გასაგზავნი 3 მაჰმადიანი. ჯარში ჩარიცხულთა შორის მესამე ხარისხის შეღავათი აქვს—12 კაცს, მეორე ხარისხისა 17-ს, ცოლ-შვილიანია—11 კაცი, წერა-კითხვის მცოდნე—120. ჯარში მიღებულთა შორის პრივილეგიით მოსილ წოდებისა არის—22 და უპრივილეგიო წოდებისა-კი 153. ჯარში ჩარიცხულნი ეროვნებით არიან: რუსნი—77, პოლონელნი—2, ნემეცი 1, ქართველი 33, სომეხი 61, ებრაელი—9 და მაჰმადიანი—2. პირველ ხარისხის შეღავათის მქონე 204 კაცი ჩაირიცხა მეორე ხარისხის შეღავათის მქონე სათადარიგო ჯარის-კაცებად. პასუხის გებაში მისცეს სამხედრო ბეგრის კანონები დარღვევისათვის 15 კაცი. სხვა ადგილებიდგან ტფილისში ჩაწერილან სამხედრო ბეგრის გადასახდელად 25 კაცი, ტფილისში მცხოვრებს ერთს მოუსურვებია სხვაგან სამხედრო ბეგრის გადახდა. საანგარიშო წლის განმავლობაში 167 კაცს მისცეს მოწმობა, რომ ისინი სამხედრო ბეგრის გადასახდელად ჩაეწერნენ ტფილისში; სხვა გვარი მოწმობები-კი საკრებულოს გაუცია 462. სამხედრო ბეგრის საქალაქოს საკრებულოზე საჩივრები შეუტანიათ გუბერნიის საკრებულოზე—60, რომელთაგან სამართლიანად უცვნიათ მხოლოდ 14. სამხედრო ბეგრის საქალაქო საკრებულოს საანგარიშო წელს ჰქონია 52 სხდომა, გარდა იმ შრომისა, რაც მოანდომეს სამხედრო ბეგრისა და სიების შესადგენად საქმის მოწყობას. საქალაქო საკრებულოს შესანახავად ხაზინას დაუხარჯავს 1,365 მან., ქალაქს—1,576 მან. 60 კაპ., სულ 2,942 მან. («კავკ.»).

⁂ მოგვყავს სტატისტიკა ბაქოში უსაქმოთ დარჩენილ მუშებისა, რომლებიც აქაურ პოლიციას გაუგზავნია ამ ქალაქიდგან „წითელის ჯვრის“ საზოგადოების ხარჯით. წარსულის წლის მაისიდგან ზღვაში მიმოსვლის შეჩერებამდე გაუგზავნიათ 6,000 მუშა. მიმოსვლის შეჩერების შემდეგ რკინის გზით გაგზავნეს შეღავათიანის ტარიფით—1,996 მუშა. 13 ამ თვეს ტაშკენტში წასულა 500 მუშა. კავკასიის მთავარმართებლის განკარგულებით რკინის გზაზე მუშებს გადაიყვანენ შეღავათიანის ტარიფით მარტის თხუთმეტამდის. აპირებენ კიდევ 1000 მუშის გაგზავნას.

⁂ იმპერატორის ალექსანდრე მესამის მუზეუმში, პეტერბურგში, აპირებენ მოაწყონ [illegible] კასიისათვის. ამ განყოფილებაში მოსათავსებლად მხატვრობათა აკადემიას განუზრახავს შეიძინოს ტფილისის სამხატვრო სასწავლებლის მოწაფეთაგან დახატული ეტიუდები კავკასიის ტიპიურ წარმომადგენელთა. ეტიუდების ფასი მიეცემა თვით დამხატველ მოწაფეებს.

იმერეთის ამბები:

⁂ **დარკვეთის რკინის გზის სადგური** (ბარის ოპეთში): აქ დატრიალდა ერთი საცოდაობა. საქმე ასე იყო: ამ სადგურში ბუფეტი უჭირავს ერთს სომეხს, რომელსაც ჰყავნდა ორი მოჯამაგირე ქართველი ბიჭი. ბიჭებს რაღაზედაც ლაპარაკი მოუვიდათ. ერთი, უფრო დიდი, ბიჭი მისდგა და დაუწყო უწყალოდ ცემა პატარას. ცემით რომ გული იჯერა, მერე გამოჰკრა დანა მუცელში და საბრალო პატარა ბიჭს ფაშვები გადმოაყრევინა. დაჭრილი მატარებელზედ დაუდეს და წაიღეს კავკავში, მაგრამ ბესლანის სადგურამდის ვეღარ მიაღწია, გზაში გარდაიცვალა.

⁂ **დ. ხიდისთავი**: 14 თებერვალს აქაურს სამკითხველოს დარბაზში მოხდა მესამე არა-ჩვეულებრივი კრება, ბ. ჩხიკიშვილის თავმჯდომარეობით. კრებას ჰქონდა განსახილველი ორი საგანი: ა) ბიბლიოთეკის შენობის ასაგებ ადგილის ამორჩევა. ბ) ამშენებელი კომისიის ამორჩევა. პირველმა საგანმა დიდი ყვირილი და უთანხმოება გამოიწვია დამსწრეთა შორის. მაგრამ ბოლოს ამოირჩიეს სამი კაცი: გრიაზნოვი, კიკვაძე და გეგელაშვილი. ამ კომისიამ ამ ორიოდე დღეში უნდა დაათვალიეროს ორი დასახელებული ადგილი ბიბლიოთეკის ასაგებად. ამშენებელ კომისიაში ამოირჩიეს: ა. რამიშვილი, მ. ნინიძე, თ. კალანდაძე, ელ. კალანდაძე, ე. ფოცხიშვილი, ე. კალანდაძე და ილ. ივანოვი.

ორი წელიწადია რაც ერთი ჰიჟვინი და ბრძოლაა ამ ადგილის ამორჩევაზე. გაჩნდა პარტიობა: ზედა ქუჩისას ზევით უნდა და ქვევით ქუჩისასაც თავიანთკენ. საჭიროა ყურადღება მიაქციოს ბიბლიოთეკის გამგეობამ შემდეგ საგნებს: ოზურგეთიდგან ჟურნალ-გაზეთები არ მოგვდის თავ-თავის დროზე. საჭიროა გამგეობამ დაავალოს ხ. ნ. ეტლთა საქმის წარმოების გამგეს, რომ ყოველ დღე კაცი ჰგზავნოს ფოსტაში გაზეთებისთვის და პირ-და-პირ ბიბლიოთეკაში მოიტანოს და არა ეტლთა ტარების კანტორაში, როგორც ამ ჟამად იქცევიან. ამას წინად ბიბლიოთეკარმა მოიკითხა ხსენებულს კანტორაში გაზეთები. გაზეთები გაეხსნათ და კითხულობდნენ და არ მისცეს, მოუვიდათ ჩხუბი და ერთმანეთს სცემეს.

ე. ლ—ე.

დაბა და სოფელი

თელავი. თელავის ახლო, სოფელს რ—ში, ბევრ-გვარს გაჭირვებას ითმენს წელს გლეხ-კაცობა. ჯერ შარშანდელმა მოუსავლიანობამ შეაწუხა მეტის-მეტად ხალხი... არ გვახსოვს, რომ ერთი კეთილი და სათნო მოხელე ჰღირსებოდეს ამ სოფელს... წელს ამ სოფელმა ბევრად უფრო მეტი გადაიხადა, ვიდრე კანონი მოითხოვდა და მიზეზი ამისა ის იყო, რომ მიწის-მზომლისა [illegible] არჩეულმა კაცებმა ბევრად მეტი გამოიყვანეს ზომაში მამულები, ვიდრე ნამდვილად იყო...

სხვაფრივ აქეთ მშვენიერი ამინდებია. თოვლიც მოვიდა და ჯეჯილებს სისველე მისცა. იქნება ღმერთმა ჰქნას და ამ გარემოებამ მოსავალს პირი ჩვენსკენ მისცეს.

ავადმყოფობა აქეთ არა არის-რა.

თელაველი.

დანირი, 13 თებერვალი. დღეს იყო წლიური კრება აქაურ გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის წევრთა. დანირის საზოგადოებაში შემდეგი სოფლებია: თვით დანირი, ქუტირი, გვაზოური და პატარა ჭიხაიში—სულ რვაასზე მეტი კომლი. ეს მეორე წლიური კრება აქვს დანირ-ქუტირის ამხანაგობას. შარშანდელს აქეთ დიდი ზრდა არ ეტყობა ამხანაგობას. დღეს ამხანაგობის წევრთა რიცხვი ადის ასამდის, სამას თუმანზე მეტ საწევრო ფულით, რომლის ნაწილიც, სამწუხაროდ, თამასუქებით შემოტანილა და არა ნაღდ ფულად. შარშანს აქეთ ამხანაგთა რიცხვს მარტო თექვსმეტი მოემატება, რაიც აიხსნება სადებ-მიცემო თანხის უქონლობით. თავის ფულს გარდა, ამხანაგობას ორას თუმნამდის ძლივს უშოვნია სესხი, თუ მობარებული ფული. ამ ფულიდანაც სამოც-და-ათ თუმნამდის გოჩა-ჭიხაიშის და კუხ-უების გამსესხებელ შემნახველ ამხანაგობათაგან უსესხნია. საჭიროა ამხანაგობის ხელმძღვანელთათვის მეტი მეცადინეობა საქმისა და ამხანაგობის წესდების დედა-აზრის გათვალისწინება, რომ საქმე მეტის წარმატებით წავიდეს. ერთად-ერთი სახსარი ამგვარ ამხანაგობათა სწორ გზაზე დასაყენებლად, ჩვენის აზრით, ის არის, რომ ასეთნი ამხანაგობანი უნდა მიეკედლონ ამხანაგობათა კავშირს. დანირ-ქუტირის ამხანაგობის დღევანდელმა კრებამ აირჩია სამი ამხანაგთაგანი: მასწავლებელი ილ. ქუთათელაძე (წელს არჩეულ გამგეობის წევრად), სვე. ელიავა (წევრი გამგეობისა დაარსებიდან) და ევ. დათიაშვილი (რჩევის წევრი) და დაავალა მიიღონ მონაწილეობა ამხანაგობათა კავშირის წესდების შემუშავებასა და მის დასამტკიცებლად გაგზავნაში.

კრებამ წმინდა მოგება ამხანაგობისა (336 მანეთი) ასე გაანაწილა: 253 მანეთი გადასდო დივიდენდად (მანეთზე 10 კაპეიკი); 40 მანეთი—სათადარიგო თანხად, 30 მანეთი რკინის კასის ფასის დასაფარავად, 10 მანეთი ბიბლიოთეკისათვის და 3 მანეთი პეტერბურგის კომიტეტისათვის.

დანირის საზოგადოებაში ოთხი სასოფლო სკოლაა: დანირში, გვაზოურში (სამრევლო), ქუტირში (სამრევლო) და ერთიც პატარა ჭიხაიშში.

ორის დღის ძლიერის ზენა-ქარის შემდეგ აქ გაზაფხულის დღეები დაიჭირა ორშაბათ-სამშაბათის „ზენა“-კი ბევრს არ დააყოვნებს ჩვენში. თითოეულ მოსახლეს ჩვენის ვაკე-იმერეთისას თითო თუმნის ზარალი მაინც მისცა სახლის სახურავების თუ შენობების დანგრევით. ბევრი-კი ამ ქარის წყალობით სრულიად უსახლ-კაროდ დარჩა, რადგან ბევრგან გაჩნდა ცეცხლი. მაგალითად, ს. ივანდიდში (ხონის მახლობლად) ცეცხლმა იმსხვერპლა ოთხის მდიდარ გლეხის სახლ-კარობა ერთიანად. ამბობენ, ცეცხლი სამის წლის ბავშვს გაუჩენია ასანთის გაუფრთხილებლად ხმარებითაო.

სოფლელი.

დ. ცხინვალი. 6 თებერვალს იყო ურილობა ცხინვალის სამოქალაქო საზოგადოებისა, რომელსაც გამოეცხადა, იკისრეთ საავადმყოფოს სახლის ქირა, რადგან არ ჰყოფნის ის ფული, რომლითაც ეგზავნება წამლები ცხინვალის სამკურნალო სახლსაო. სოფლის ხალხმა უარი განაცხადა: არ გვინდა საავადმყოფო და არც გავიღებთ ხარჯსაო. ცხინვალის საზოგადოებამ-კი, განურჩევლად ტომისა და წოდებისა, იკისრა სახლის ქირა, მხოლოდ იმ პირობით, რომ გარეშე ხალხს წამალი არ მიეცეს და, თუ ინდომებენ, გადიხადონ ორი შაური.

ვერ ჰნახავთ აქეთ ვერც ერთს სოფელს, რომ რაიმე ავადმყოფობა არ იყოს მოდებული: სახადი, მუცლა, სურდო-ხველა, ყვავილები, ინფლუენცა და სხვა მრავალი. ორი ფერშალი ადგილობრივ ავადმყოფებსაც ვერ ასდიან და არის აუარებელი ხალხი ღვთის ანაბარაზე დატოვებული. ექიმი ხომ, აგერ სამი თვეც არის, აღარ არის აქა. მართალია, ახლად დანიშნულის ექიმის სახელობაზედ მოდის აქ ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ეს ვერ გაჰკურნავს აუარებელს ავადმყოფს და მეტად გაჭირვებულს უქმობისა გამო ხალხს...

[illegible]—ი.

ნარკვევი.

მოსკოვის გაზეთებს მოჰყავთ მევენახეთა და მეღვინეთა კრების ანგარიში. კავკასიისათვის მნიშვნელობა აქვს შემდეგ შუამდგომლობათ, რომელიც უნდა აღძრას კრებამ, სახელდობრ:

გაიმართოს კავკასიაში მეღვინეობის სკოლა ეთხოვოს საუფლისწულო უწყებას კავკასიის მამულებში დააარსოს ქიმიური ლაბორატორიები სადაც ასეთები არსებობს, გააფართოვოს ღვინის ანალიზისათვის იმ რაიონში, სადაც არის საუფლისწულო მამული; იშუამდგომლოს, რომ კავკასიის ღვინის ტიპის შესამუშავებლად დაარსდეს კავკასიაში ღვინის დასაყენებელი საცდელი სადგურები, როგორც ეს არის გერმანიაში. მაგრამ რადგან ეს ბევრს ხარჯს მოითხოვს, ჯერ-ჯერობით სუბსიდია ეძლიოს ქალაქის ლაბორატორიებს ღვინის მუდმივ საკვლევად.

9 თებერვალს ჰელსინგფორსში მომხდარ ამბების შესახებ გაზეთი „მოსკოვ. ვედ.“ სწერს შემდეგს:

არეულობის დროს დაატუსაღეს, როგორც უმთავრესი დამნაშავენი—ადვოკატი ლილე, სახალხო სკოლების მასწავლებელი ბერგმანი, კანცელიარისტი მაიანდერი, სტუდენტი ლინდბერგი და სხ., სულ 17 კაცი. ამათ გარდა შეიპყრეს კიდევ 20-მდე კაცი, რომლებიც ჰმოქმედებდნენ ზემოხსენებულთა წაქეზებით. არეულობის დაწყებამდე პოლიციამ შეიპყრო კიდევ სავაჭრო პორტის კაპიტნები ხეგლუნდი და რაბერი; უკანასკნელნი ავრცელებდნენ წარწერებიან სურათებს იმ სენატორებისას, რომლებიც თანახმა გახდნენ 1899 წ. 3 თებ. მანიფესტის გამოქვეყნებისა. არეულობაში მონაწილეობას იღებდა ადგილობრივ პორტის ყველა კაპიტანი. ერთი მათგანი დადიოდა წინა დღით მაღაზიებში და ურჩევდა ყველას, ხვალ საღამოს სანთელს ნუ აანთებთ მაღაზიებშიო.

ჰელსინგფორსის სასამართლომ უკვე გაარჩია უმთავრეს დამნაშავეთა საქმე: სამი გაამართლა და 14-ს მიუსაჯა უბრალო წესიერების და მშვიდობიანობის დარღვევისათვის მცირე ჯარიმა (35 მარკამდე). როგორც შარშან, მოსამართლეებმა წელსაც უარ-ჰყვეს, რომ ამ არეულობაში საპოლიტიკო აზრს არა ჰქონია ადგილიო.

რუსეთის ებრაელთა ჟურნალ „ვოსხოდ“-ში დასტამბულია წერილი ებრაელ მხატვრის ლევიტანის შესახებ:

ჩვენა გვგონია, რომ მის შემოქმედების თვისებას ცხადად ეტყობა ბეჭედი ერის სულისა, იმ ერის სულისა, რომელიც აგერ ათასი წელიწადია მას აქეთ შემუსვრილის ქნარით ზის სხვა-და-სხვა მდინარის პირად და დასტირის თავისს ბედსა... ასეთის წამებულ ერის შვილისათვის სად არის ლხინი, ცეკვა და სიმღერა?! ლევიტანის ნაწარმოებშიაც ვგრძნობთ იმ საუკუნო სევდას, რომელსაც მუდამ ატარებს გული ებრაელისა. მარტო ლევიტანს არ ჩაუხედნია ამ ერის გულში. არა ერთი და არა ნაკლებად ჩინებული წინამოადგილე ჰყოლია ამ მხატვარს. მის სურათებსაც ამჩნევია იგივე გრძნობა, იგივე ბუნება, რომლითაც გამსჭვალული იყო ჰენრიკ ჰეინეს საკვირველი ელეგია და მენდელსონ-ბარტოლდის შესანიშნავი უსიტყვო საგალობლები. განა ლევიტანის სურათები ჰეინეს ზოგიერთის ლექსის ილუსტრაცია არ არის?! ბევრი რამ აქვთ ორივეს საერთო და სანათესავო...აი, თუნდა ებრაელთა მწუხარება, ებრაელთა სევდა. ეს მწუხარება, ეს უსაზღვრო სევდა ლევიტანმა მისთვისა რუსეთის ბუნებასაც, რომელიც თავისებურად ესმოდა და რომელსაც თავისებურად გამოსახავდა.

ფელეტონი

გახსენება

ამ მოკლე ხანში მოსკოვში გარდაიცვალა ერთი რუსი, სალავიოვი-ნესმელოვი და მე, ქართველს, ქუთაისში, დამირჩა ის სამგლოვიაროდ. საგულისხმოა, მით უფრო რომ ჩვენ ერთმანეთის ნათესავი არა ვყოფილვართ, დამოკიდებულება არა გვქონია-რა ერთმანეთთან და ნახვითაც მხოლოდ ორჯელ მინახავს ის მისს სიცოცხლეში და ისიც რამდენიმე წამით.

ამ ოცის წლის წინეთ „სასტუმრო-საქართველოში“ შევედი სადილის საჭმელად. აქ სხვებიც ბევრი დამხვდნენ; ჩვეულებრივად მისხდომოდნენ აქეთ-იქით სუფრებს და მადიანად შეექცეოდნენ. განმარტოებულად, კუთხეში პატარა სუფრაკს მოსჯდომოდა ერთი ვიღაც ვეებერთელა წითური კაცი და თითქოს ყბასაც არ აქნევსო, ისე ჰყლაპავდა დიდ-დიდ ლუკმებს. მგლური მადა და სვავის სულხაობა სახეზე ელაპლაპებოდა. მოსამსახურეები მისჩერებოდნენ და იღიმოდნენ.

„სანდრო!—დავეკითხე ერთ მათგანს—ეს კაცი ვინ არის?

— ვერ იცნობთ, ბატონო?—მიპასუხა გაოცებით,—ეს ის გახლავსთ, ქართველები რომ უყვარს და მოსკოვის უწყებაში რომ წერილებს ჰგზავნის ხოლმე. ლანძღვა-გინებამ თქვენი პირი წაიღო, მაგრამ ისეთ ხმებსაც-კი იგონებს, რომ პირდაპირი დაბეზღებაა!.. მაგრამ რას ვამბობ? დაბეზღება-კი არა, უარესია!!...

— ეს არის?!. მერე და არ ეშინია აქ რომ შემოდის? აქ ხომ სულ ქართველები ხართ.

— რისი უნდა ეშინოდეს? განა ვერ გვიცნობს ქართველებს თუ? დიდი ხანია ჩვენშია და იცის რომ, ჩვენ ქართველები უწყინარი და ყველაფრის მიმტევებელი ხალხი ვართ,—სამაგიეროს მტერსაც ვერ გადავუხდით.

— კი, მაგრამ თვითონ რაღა პირით გიყურებთ უსირცხვილოდ?!.

— დალოცვილო! რაღა დროს სირცხვილია, კუჭი ეწვის შიმშილით: სამსახურში იყო და გამოაგდეს, თურმე ქრთამებს იღებდა, ულუკმა-პუროდ დარჩა წვრილ ცოლ-შვილის პატრონი და რომ აღარც სწეროს, მაშ ვინღა არჩენს?

— განა სიცრუე და სისაძაგლე უნდა სწეროს?

— დღეს გასავალი მხოლოდ მაგისთანა წერილებსა აქვს!..

— კაი თავის გამართლებაა!!

— ახირებული ვინმეა!—ხუთ კაცის ოდენასა სჭამს. სანამ არ გაძღება არის ჩუმათ... მამალ ინდაურივით ყლაპავს... პირსაც არ უქნევს ისე... და რომ გამოძღება—გამოსისინდება, აღრინდება ხოლმე. სწორეთ აფთრის მოდგმისაა. გამიგონია, აფთარმა თუ არ იღრინა, ისე ვერ მოინელებსო... ესეც პატარა ხანს უკან აძაღლდება.“

უცბად სიმღერა შემოგვესმა. ცალკე ოთახში თურმე საფიორის აფიცრები ქეიფობდნენ და იმათ შემოსძახეს თავისი სიმღერები ღორმუცელა სტუმარი სიამოვნებით შეიშმუშნა; თითქოს, დიდი ხნის დანატრულებულს, დაკარგული რამ ეპოვნოს, მშობლიურ სიმღერას გულის თქმა ააყოლა, უზარ-მაზარი ტანი შეარხია და მოთამაშე დათვივით ჯუნჯალობდა სკამზე მჯდომი.

ნეტარებაში იყო, მაგრამ მალე-კი ჩაამწარდა სიამოვნება: ამ დროს სადღაც ქართული მრავალჟამიერიც შემოსძახეს. სიხარულით გახურვებულ სი—ვს თითქოს ცივი წყალი გადაავლეს თავზე, უცნაურად დაიქყანა რუსი, დააჭყიტა თვალები და დაიღრიალა: „ეს რა ამბავია?! რა ადგილია აქ სიმღერისაო?“ ეკითხებოდა „ლაქიებს“.

— მეშვიდე ნომერში ყმაწვილები ქეიფობენ და იმღერიანო! მოახსენეს.

— მერე და რა მხეცობაა და რა სიბრიყვე?.. განა თავისი თავის მეტი სხვები აღარავინ ეგულებათ? სანდროს თქმისა არ იყოს, მართლა აყეფდა და ღრინავდა თავისთვის...

იქვე თავისთვის ერთი, ვიღაც ახალგაზრდა კაცი იჯდა, ველარ აიტანა ღორ-მუცელას საყვედურები და მიუბრუნდა: „მოწყალეო ხელმწიფევ! რასა შფოთავთ?

— როგორ თუ რასა?! ვერა ჰხედავთ რა ამბავია? ხომ გესმისთ!

— მერე რაო?.. ლხინობენ და იმღერიან! ეს განა ჩვეულებრივი საქმე არ არის?

— კი, მაგრამ როგორ იმღერიან? და რა ენაზე? აი, მე სრულიად არას ვამბობ ნამდვილ სიმღერაზე. მაგრამ ესენი-კი ღრიალებენ მხეცურადა და გვაწუხებენ!

— აქ განსხვავება მხოლოდ ენაშია—თავთავის ენაზედ მღერიან...

— ჰო და კიდეც ეგ არის!—იმღერონ რუსულად, ვინ უშლით?

— თუ არ ემარჯვებათ?

— გაჩუმდნენ!—მაგრამ აქ ჩვენი სისუსტეა და წინდაუხედაობა, რომ ამდენს ჰბედვენ.

— მე ვერ გამიგია თქვენი აზრი?! რას ამბობთ, გესმისთ?..

— იმას, რომ ამ ქვეყანაში ლოთობისა და ავაზაკობის მეტი არა არის-რა!

— ესე იგი თქვენ გინდათ სთქვათ, რომ აქ არც ლოთობაა და არც ავაზაკობა!

— მაშ, თქვენ ახალი მოსული იქმნებით?

— არ არის დიდი ხანი, მაგრამ მაინც იმდენად-კი მოვასწარი ხალხის გაცნობა, რომ შემიძლია სიმართლე ვსთქვა! ვინცა რა უნდა ისა სთქვას და ჩვენ-კი არ შეგვიძლიან, რომ აქაურებს ლოთობა ვუკიჟინოთ! ამდენი ხანია აქა ვარ და წაქცეული მთვრალი არ მინახავს. თუმცა ღვინოს-კი ძალიან სმენ.

— მართალია ჩვენში ყველა თვრება, მაგრამ ჩვენებური ლოთობა სულ სხვა არის: დათვრება და გაგორდება.—ამით ვის რას დაუშავებს? აქ-კი დათვრება თუ არა, იმ წამსვე მოისვამს ხელს!... რაზბონიკები არიან.

— რაზბონიკები? მერე სად არიან?—ამ ღრეებში, ამ კლდეებში, ამ უტეხ ტყეებში დადიხარ, კაცი ხმას არა გცემს!.. ქართველი და ავაზაკი, ვერ წარმომიდგენია.

— მაშ, ეს მიქელიშვილები, კურუები, მახუზლები და სხვანი ვინ არიან, თუ არ ქართველები?

— ეგენი? ციმბირიდან გამოქცეული, გამოსუქინსინებული, ტუსაღები, რომელთაც საერთო ხალხთან არა აქვთ-რა!

— გეტყობათ, რომ თქვენ რუსი არა ხართ... პოლიაკი უნდა იყოთ, რომ ასე აფარებთ ხელს აქაურებს?

— მე ნამდვილი რუსი ვარ და არა...

— ?..

— თქვენ არც სიმართლე იცით და არც სინდისს მისდევთ.

— მოწყალეო ხელმწიფეო!.. თქვენ ნამეტანს ჰბედავთ... აი, სულ თქვენისთანების ბრალია, რომ აბრიყვებენ აქაურებს...

— ყურადღების მისაქცევი თქვენ ხართ, რომ თქვენ თქვენის მოქმედებით აქ ამ ხალხს აგდებთ უსამართლოდ განსაცდელში და აქ რუსობას უტეხთ სახელს. მეც სანამ იქ ვიყავ და აქედგან გამოგზავნილ კორესპონდენციებს ვკითხულობდი, მჯეროდა ყოველიფერი, მაგრამ ეხლა-კი ვხედავ, რაც ამბავია და როგორც რუსს, გული მომდის. ველარ ამიტანია უსამართლობაო...

იმათმა ბაასმა საზოგადო ყურადღება მიიქცია. გაბრაზებული მივარდნას ეპირებოდა, მაგრამ ისე იყო გამაძღარი, რომ ველარ ინძ-

რუსეთი

— კიევის გაზეთებში დაბეჭდილია იქაურის უნივერსიტეტის რექტორის განცხადება: წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტში სწავლა შეწყვეტილია და სტუდენტებს აღკრძალული აქვთ იარონ უნივერსიტეტში.

— ჰელსინგფორსში 10 თებერვალს 1899 წ. 3 თებერვლის უმაღლესის მანიფესტის გამოქვეყნების დღეს დემონსტრაცია მოუხდენიათ.

— სინოდი აცხადებს, რომ სახარების მალოროსიულ ენაზე დაბეჭდვის ნებართვა ტყუილი არ არისო.

— კიევის ქუჩებში გაუკრავთ შემდეგი განცხადება კიევის გენერალ-გუბერნატორის დრაგომიროვისა: 1) აღკრძალულია ყოველგვარი დემონსტრაცია და ხალხის მოგროვება ქუჩებში, მოედნებზე, ბაღებში და რკინის გზის სადგურებზე; 2) შეკრებილი ხალხი, ან წესიერების დამარღვეველი კერძო კაცი დაუყოვნებლივ უნდა დაემორჩილოს პოლიციის მოთხოვნილებას; 3) მოწინააღმდეგენი დასჯილ იქნებიან და, თუ საჭიროებამ მოითხოვა, ჯარებიც იქნება გამოწვეული წესის დასამყარებლად.

— 11 თებერვლის ცნობებიდგან სჩანს, რომ ტოლსტოის ავადმყოფობა უკვე საშიში არ არის; მოსალოდნელია ავადმყოფის გამობრუნება და მოკეთება.

— ტამბოვის ერობის წიგნის მაღაზიის ანგარიშიდგან სჩანს, რომ 1900—1901 წ. განმავლობაში მაღაზიას გაუყიდნია 49,186 მ. წიგნი, რომლიდგანაც მოგება დარჩენია 6,531 მან. ერობას დაუდგენია, რომ წიგნების გასავრცელებლად იყოლიოს წიგნის დამტარებელნი სოფლად და დაბად.

— აღმოსავლეთ ციმბირიდგან რუსული მარილი განუდევნია ამერიკის მარილს. ამერიკელების კონკურენციამ დიდი ზარალი მოუტანა ხაზინას: 1897 წ. მარილის შემოსავალი იყო 286 ათ. მან. და 1901 წ.-კი 234 ათ. მან.

— მსოფლიო ისტორიის პროფესსორი ვინოგრადოვი მისის თხოვნისამებრ დათხოვნილ იქმნა მოსკოვის უნივერსიტეტიდგან.

— ამას წინად ჩვენს გაზეთში დასტამბული გვქონდა, რომ ქ. მოსკოვში ადგილობრივ ადმინისტრაციას ტრაქტირებსა და ლუდხანებში აღუკრძალავს ყველა გაზეთების გამოწერა, გარდა «ნოვოე ვრემიისა», «მოსკოვსკი ვედომოსტებისა», «სვეტისა» და «მოსკოვის ლისტოკისა». მაგრამ, რადგანაც იქ მოსიარულენი შეჩვეულნი ყოფილან სხვა გაზეთებსა, ამიტომ ისინი გზავნიდნენ თურმე ამ გაზეთების სასყიდლად. ნაყიდს გაზეთებს იქვე კითხულობდნენ და ერთმანეთს სთავაზობდნენ წასაკითხავად, რის გამოც ზემოყვანილ განკარგულებას ძალა უნდა დაეკარგოდა. ახლა, როგორც გაზ. «პრავო» გვაუწყებს, ეს განკარგულება სრულიად გაუუქმებია ადმინისტრაციას.

უცხოეთი

ამერიკის შეერთებული შტატები. ბრაიანს, რომლის კანდიდატურაც პრეზიდენტობაზედ შარშანდელ არჩევნებზედ წამოაყენეს, წერილი დაუბეჭდია ერთს ჟურნალში ინგლისის წინააღმდეგ. სამარცხვინო საქმეა, სწერს ბრაიანი, ამერიკის თავისუფალ ერისათვის საგანგებო დეპუტაციის გაგზავნა ინგლისში მეფე ედუარდის გვირგვინის კურთხევაზედ დასასწრებლადაო. ამ დეპუტაციის გაგზავნით დავუმტკიცებთ მთელს ქვეყანას, რომ ჩვენ თანავუგრძნობთ ინგლისს და ვაწონებთ ინგლისელთა მიერ სამხრეთ-აფრიკის თავისუფალ მოქალაქეთა ამოჟლეტა-ამოხოცვასაო.

— მოგვყავს ზოგიერთი ცნობები ამერიკის მრეწველობა-ვაჭრობის გაძლიერების შესახებ. უკანასკნელ ექვსის წლის განმავლობაში ამერიკიდგან 4 მილიარდ მანეთის მეტი საქონელი გაუტანიათ, ვიდრე შეუტანიათ ევროპის ბაზარზედ. ერთის გაზეთის სიტყვით, მეტად ჰგრძნობენ ამერიკის მრეწველობის ძალას, მაგრამ ვერა გაუწყვიათ-რა. ევროპას უფრო ის აღონებს, რომ ამერიკიდგან დამზადებული საქონელი აღარ მოსდის: დღეს ამერიკის ქარხნები უფრო კარგად და იაფად ამზადებენ საქონელს, ვიდრე ევროპისა. ამერიკის სამანუფაქტურო ნაწარმოებმა დიდი ბაზარი მოიპოვა ევროპაში. 1897 წელს ეს ნაწარმოები გაიტანეს ევროპაში 300 მილ. მანეთისა, 1900 წელს-კი 900 მილ. მანეთისა. ყველაზედ მეტი გასავალი ევროპაში ამერიკის სამეტალურგო ნაწარმოებს აქვს. რკინეულობას ეხლა თითქმის მთელ ევროპას ამერიკა აწვდის. ეს საქარხნო მრეწველობა. ასეთ უპირატესობასა სწევს ამერიკა სასოფლო ნაწარმოებშიაც: ხორბლის დამწყსებელი ევროპის ბაზრებში ამერიკული ფქვილია. დაუმატეთ ყველა ამას ნავთი და ადვილად მიხვდებით, რაოდენ ძალის მქონია ამერიკის რესპუბლიკა. „უმთავრესი მიზეზი,—ნათქვამია სამინისტროს ანგარიშში,—ჩვენის მრეწველობის გაძლიერებისა ჩვენი რკინის გზების საუცხოოდ მოწყობილება და მატარებელთა ჩქარი მიმოსვლააო. ჩვენებური მატარებელი ორჯერ უფრო ჩქარა დადის, ვიდრე ინგლისური და თითქმის სამჯერ უფრო ჩქარა, ვიდრე ფრანგული, გერმანული და რუსული. საქონლის გადაზიდვა რკინის გზით ამერიკაში სამჯერ უფრო იაფად ჯდება, ვიდრე ევროპაში.“

საფრანგეთი. საფრანგეთის სხვადასხვა მემამულეებმა დააარსეს საზოგადოება ამ სახელით—„მთავარი კავშირი საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო სინდიკატებისა“. თუმცა საზოგადოებამ გამოაცხადა, რომ სასოფლო მეურნეობის დაცვა გვაქვს აზრადაო, მაგრამ ნამდვილად იგი სცდილობს უკიდურეს პროტექციონიზმის გაბატონებას და კონსერვატულ პრინციპების განმტკიცებას. საფრანგეთის აგრარები დიდის ამბით ემზადებიან მომავალ არჩევნებისათვის. წარსულ შაბათს მოლაპარაკებაც-კი ჰქონიათ. საარჩევნო პროგრამის შესამუშავებლად კრებას დასწრებიან კონსერვატულ დასის ბურჯნი: მარკიზ დე-ვოგუე, მარკიზ დე-პარმენტალი, პრინცი ლუი დე-ბროლი, გრაფი დე-ბლუა, მარკიზ დე-გილნევი, ვიკტორ დე-დიუპუ, გრაფი დე-როკინი და სხვა ტიტულის წარმომადგენელნი საფრანგეთის არისტოკრატიისა. კრებას გადაუწყვეტია, ისეთ კანდიდატებს დაუჭიროს მხარი, რომელნიც საპროტექციო სისტემის გაბატონებას ეცდებიან.

ესპანია. დღემდე მთავრობას მშვიდობიანობა ვერ აუდგენია ბარცელონაში. ბევრი გემი უკანვე წავიდა ნავთ-სადგურიდგან გადაუტვირთველი. იმედი თითქმის აღარავის აქვს, რომ მუშები და ქონების პატრონნი შეთანხმდებიან. დაუსრულებელმა შეტაკებამ ჯარსა და მუშებს შორის სამის დღის განმავლობაში ვერაფერი გამოარკვია; არ იციან, ვინ არის გამარჯვებული და ვინ დამარცხებული, რადგანაც მოკლულ-დაჭრილნი ორსავე მხარეს ბლომად არიან. ბარცელონის გარდა, მუშები სარაგოსაშიაც გაფიცულან. სამინისტროს სამსახურიდგან გადადგომა აუცილებელია თურმე. ამბობენ, ახალი სამინისტრო გენერალის ვეილერის მეთაურობით შესდგებაო. ამ რიგად ესპანია უფრო მეტად დაიწევს რეაქციისაკენ, რადგანაც ვეილერი დიქტატურას გააძლიერებს. გაზეთების სიტყვით, თუ ახლანდელ სალიბერალო სამინისტროს სამხედრო დიქტატურა მოჰყვა, ბარცელონასთან ერთად მთელი ესპანია აჯანყდება, რადგანაც დემოკრატულმა იდეებმა ამ ბოლოს დროს საკმაოდ მოიკიდეს ფეხი ესპანიის ხალხში.

შეტაკების დროს ბარცელონაში მოუკლავთ 40 კაცი, დაჭრილა 200 და 500-ც დაუპატიმრებიათ. დაჭრილთა რიცხვი უფრო დიდია, რადგანაც ბევრნი არ ამხელენ შიშით. ზომიერ სოციალისტთა გაზეთი „El Socialist“-ი ამბობს, რომ საზოგადო გაფიცვა მომავალში დიდ სარგებლობას მოიტანს, მაგრამ ეხლა საზარალოა, რადგანაც მას დიდ-ძალი მსხვერპლი და სისხლი მოსდევსო.

ინგლისი. „Patrie“-ს ლონდონელი კორესპონდენტი სწერს, რომ ინგლისი უკვე სამი წელიწადია, რაც იაპონიას აქეზებს რუსეთის წინააღმდეგ და ახალი ხელშეკრულობა ამ პოლიტიკის შედეგიაო. კორესპონდენტის სიტყვით, ჩინეთში არეულობის დაწყებისასვე ინგლისმა ფული გადასცა იაპონიას და სთხოვა დაუყოვნებლივ ჯარის გაგზავნა ჩინეთში. იმედი ჰქონდა, რომ იაპონია სიჩქარით პეჩილიში შევა და რუსეთზედ ადრე პეკინს დაიჭერს; მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ.

— ლორდმა როზბერიმ „Times“-ში მოათავსა დიდი წერილი, რომელშიაც აცხადებს, რომ უთუველსავე კავშირს ვწყვეტავ ლიბერალების ლიდერს კემპბელ-ბანერმანთანაო. ამ წერილის გამო „ind. Belge“ ამბობს, რომ ლიბერალებს სიხარულის მეტი არაფერი დარჩენიათ: დიდი შეცდომა იქმნება სალიბერალო დასის აღდგენა იმ საფუძველზედ, რომელსაც კეთილ-შობილი ლორდი აღნიშნავს და რომელიც უარ-ჰყოფს დიდებულ გლადსტონის პროგრამასაო. როზბერი ჰკიცხავს დღევანდელ სამინისტროს იმდენად, რამდენადაც ეს სასარგებლოა იმის მიზნისათვის. იგი პროტესტს აცხადებს ბურების დამორჩილების გამო, რადგანაც კარგად უწყის, რომ ზავი ჩამოგდებული არ იქმნებაო. კონსერვატულმა გაზეთებმაცკი გამოაცხადეს, რომ როზბერისა და სამინისტროს პროგრამებს შორის მხოლოდ მცირეოდენი განსხვავებააო. განა მოსალოდნელია, ლიბერალები გააერთიანოს იმ კაცმა, რომლის რწმენაც უფრო ჩემბერლენისა და იმპერიალისტთა რწმენას უახლოვდება ვიდრე ლიბერალებისას. თავის მხრივ კემპბელ-ბანერმანმა განაცხადა, რომ ლიბერალები უკანასკნელ შეძლებამდე უნდა ებრძოლონ იმპერიალისტებსაო. ლიბერალების რჩევას არც ერთს წუთს არ მივიღებთ და ჩვენს პროგრამიდგან ჰომრულს არ ამოვშლითო.

ეჭვს არ არის, ამის შემდეგ ლიბერალები სამუდამოდ დაჰშორდებიან როზბერსა და იმპერიალისტებს. გაზეთები, თითქმის ყველანი, ამ აზრისანი არიან. ბევრი იმასაც სწერს, რომ როზბერი ახალ დასს შეადგენს უნიონისტთა და ლიბერალ-იმპერიალისტთაგანაო. ამ დასს, იმათის სიტყვით, 50 წევრი მაინც ეყოლება ქვედა პარლამენტში. რამდენად გამართლდება ეს წინასწარმეტყველება, მომავალი დაგვანახვებს.

ავსტრ-უნგრეთი. მთავრობამ გააუქმა ტრიესტში საგაზეთო ცენზურა, რომელიც მუშათა გაფიცვის გამო შემოიღო. დაპატიმრებულთაგანი ბევრი უკვე გაანთავისუფლეს. განთავისუფლეს, სხვათა შორის, სოციალისტთა მეთაური პიტტონი. იმ კომისიაში, რომელსაც ტრიესტის საქმეების გამოძიება აქვს მინდობილი, კერბერმა განაცხადა, რომ დღემდე ვერ შევძელით სრულ ანგარიშის შედგენა ტრიესტში მომხდარ ამბებისაო. მთავრობას, იმის სიტყვით, სრულიადაც არა ჰსურს საქმის გაჭიანურება, პირ-იქით იგი ყველაზედ მეტადაა მოწადინებული საქმის გათავებას, მაგრამ გარემოება ხელს უშლისო.

სასოფლო მეურნეობა.

კვერცხი და მისი ნაწილები.

როგორ ჩნდება წიწილა.

ყველას უნახავს აუარებელი კვერცხის გული დაკლულ კვერცხის-მდებელ დედალში იმ ადგილას, სადაც წელის ხერხემალთან (მარჯვნივ) იწყება ჰპები. ამ ადგილას ეს გულები დაწყობილია, როგორც ყურძნის მტევანზე კუმპალი, მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ მტევანზე ყველა ნაყოფი, ე. ი. კუმპალი ერთნაირ სიდიდისაა და კვერცხის გულები-კი ერთნაირ სიდიდისა არ არის: ზოგი დიდია და ზოგი პატარა. იმ ჰურჰელს, სადაც ეს გულები აწყვია, ჰქვიან საკვერცხე. საკვერცხეში მზადდება მხოლოდ კვერცხის გული.

როცა კვერცხის გული ჩვეულებრივის ზომისა შეიქმნება, მაშინ უჩნდება პატარა ბუშტი, რომელშიაც იმყოფება დაუმამლავ იჩასახული ნაყოფი. კვერცხის გული რომ დაიმამლება, შორდება საკვერცხეს და ჩადის ერთნაირ კვერცხის გამყვან მილში. მილის შინაგანი გვერდი ნაოჭიანია, აქ მზადდება ნაწილები კვერცხის ცილისა. ცილა გარს შემოეხვევა კვერცხის გულს, ხოლო ცილას ირგვლივ გადაეკვრის ორი კანი: ერთი თხელი, ნაზი, მეორე მოსქო, მაგარი, ორივე ერთმანეთზეა დაწყობილი, მოუშორებლად კვერცხის ბოლომდე. აქ ისინი ერთმანეთს შორდებიან და, როცა ქათამი კვერცხს დასდებს, მათ შუა ჩადის ჰაერი. რაც უფრო დიდი ხნისაა კვერცხი, იმდენად მეტი ადგილი უჭირავს ჰაერს იმ ორ კანს შუა. ამით, სხვათა შორის, შეიტყობენ კვერცხის სიახლესა და სიძველეს.

კვერცხის გასაყვან მილშივე მზადდება ნაჭუჭის ნაწილები; ამ ნაწილებში უმთავრეს ნაწილს შეადგენს კირი. ეს ნაწილები კვერცხის მეორე მაგარს კანზე კეთდება ნაჭუჭათ. სანამ კვერცხი მილშია—ნაჭუჭიც რბილია. კვერცხის გულის საკვერცხეს მოშორებას, ცილისა და ნაჭუჭის მომზადებას უნდა სულ ოცდა სამი საათი. დადების დროს კვერცხს რბილი ნაჭუჭი აქვს, მაგრამ ჰაერის ზედმოქმედებით მაგრდება. დადების დროს კვერცხს მოჰყვება ერთნაირი სითხე, რომელიც ჰაერისავე ზედმოქმედებით შრება და ნაჭუჭს ლაქად აჩნდება. ეს ლაქა ძალიან საჭირო არის: ნაჭუჭს აუარებელი წვრილი ნახვრეტები აქვს, საიდგანაც ჰაერი კვერცხში შედის და გამოდის. ბევრი ჰაერი რომ შევიდეს, კვერცხი გაფუჭდება, ზედ გადაკრული ლაქა-კი არ უშვებს შიგნით ნოტიოსა და ბევრს ჰაერს.

ესრედ კვერცხს აქვს შემდეგი ნაწილები: 1) გარედან ნაჭუჭი; 2) იმის ქვევით სქელი კანი; (3 შემდეგ თხელი, ნაზი კანი; 4) ცილა—სამნაირ სითხისა: ძალიან თხელი, მოსქო და სქელი; 5) გულის ნაზი კანი; 6) გული და 7) გულში გახვეული ნასახი. კვერცხის გული ასაზრდოებს ნაყოფს გამოჩეკამდე, ცილა იფარავს სიცივისაგან, შინაგან სითბოს გარეთ არ უშვებს და ბოლოს დიდს მონაწილეობას იღებს წიწილის ძვლების გაჩენაში; ამიტომაც, წიწილა რომ გამოიჩეკება, კვერცხისაგან ნაჭუჭისა და კანის მეტი აღარა რჩება-რა.

—

ბინა ფრინველებისათვის.

ქუთაისის გუბერნიაში საზოგადოდ თბილი ჰაერია, ხანგრძლივი ზაფხულია და ზომიერი ზამთარი. ამიტომაც ჩვენი შინაური ფრინველები მუდამ გარეთ არიან. ვინც ფრინველების ცხოვრებას დაჰკვირვებია, შეამჩნევდა, რომ სიცივეების დროს ფრინველი საფარს ეძებს, სიცხეში-კი ჩრდილს; ზომიერ დარში ქათმები და ინდაურები სულ მინდვრად დადიან და ბატები და იხვები ხან მინდვრად და ხან წყალში ატარებენ დროს, ეძებენ საზრდოს.

აქედგან სჩანს, თუ რას თხოულობს ფრინველების ბუნება. მართალია, ჩვენში ზომიერი ზამთარი იცის, მაგრამ ჰავა მაინც ერთობ ცვალებადია: ხან მეტის-მეტი სიცივეა, ხან უეცრად აუტანელი სიცხე. დაჟინებული ქარები და წვიმები, ხანგრძლივი გვალვა და სიცხე იშვიათი მოვლენა არ არის ჩვენში და ეს მუდმივი ცვლილება ცუდად ჰმოქმედებს ფრინველზე, თუ თავ-შესაფარი არა აქვს.

ბინის უქონლობაა, სხვათა შორის, მიზეზი ფრინველების სხვა და სხვა სენისა, რომელიც აკლებს ჩვენს ქვეყანას მრავალს ქათამს და ინდოურს. ამიტომ ვისაც ჰსურს ფრინველის მოშენება, პირველად მის ბინის გაკეთებისათვის უნდა იზრუნოს. მაგრამ საჭიროა აქვე დავძინოთ, რომ თავშესაფარი ფრინველისათვის შეიძლება უფრო მავნებელი გახდეს, ვინემც მარგებელი, თუ სუფთად არ იქმნა შენახული, რადგან უსუფთაო ბინა ფრინველთათვის სხვა და სხვა გადამდებ სენის ბუდედ გარდაიქცევა ხოლმე.

ნ. მკურნალი.

წერილები რედაქციის მიმართ.

I

ბ-ნო რედაქტორო!

ოდესელმა! ქართველმა სტუდენტებმა მიიღეს პროფესსორის ვ. პეტრიაშვილის სახელზე დასაარსებელ სტიპენდიის სასარგებლოდ თ. სიმონ დავითის ძის წერეთლის-მიერ შეგროვილი ას-ხუთი მანეთი (105 მან.), რისთვისაც გულითად მადლობას ვუცხადებთ შემომწირველთ და განსაკუთრებით თ. სიმონ დავითის ძეს წერეთელს, რომელმაც პატივი სცა ჩვენს თხოვნას და ასეთი დახმარება აღმოგვიჩინა. სია შემომწირველთა: თ. სიმონ დავითის ძე წერეთელმა 15 მანეთი; გ. ემერიკმა 10 მან., პ. კ. შულცმა, ბ-ნმა პანასიემ, თ. პ, წულუკიძემ, გ. ზდანოვიჩმა, ილ. გამყრელიძემ და თ. ს. ვაჩნაძემ ხუთ-ხუთი მანეთი, კ. ბაქრაძემ, ნ. ავგერინომ, ი. რატიანმა, ი. ქადაგიძემ და კნ. ვარ. წერეთელისამ სამ-სამი მანეთი; ა. ვართანიანმა, გრ. აბაშიძემ, ო. თურქიამ, ს. ჯაფარიძემ, ჯ. იაშვილმა, კ. მდივანმა, ს. გამყრელიძემ, ვ. ჩხეიძემ, თ. მარგველაშვილმა, გ. საეტმა, ვ. მ. მირზოევმა, თ. ბიძინა ჩოლოყაშვილმა და თ. კონსტ. წერეთელმა ორ ორი მანეთი.

თ. ა. ს. წერეთელმა, ს. აბესაძემ, ა. გ. ცეიტლინმა, ნესტორ ქვარინმა, ბ-ნმა ლორთქიფანიძემ, ვ. ქუთათელაძემ და თ. გ. აბაშიძემ თითო მანეთი; პლატონ ჯაფარიძემ და ნ. ხვედელიძემ ათ-ათი შაური.—

გულითადს მადლობას ვუცხადებთ აგრეთვე ქვეით დასახელებულ პირთ, რომელთაც გადასცეს თავისი შემოწირულებანი აღნიშნულის სტიპენდიის სასარგებლოდ სტუდენტებს: სიმონ ლოლობერიძეს, ნესტორ ჩიქოვანს და ანდრია ლორთქიფანიძეს. ხუთ-ხუთი მანეთი შემოსწირეს: დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძემ და დავით ხელთუფლიშვილმა; სამი მანეთი: ალექსანდრე სიმონის ძე საყვარელიძემ; ორ-ორი მანეთი: სამსონ კილაძემ, სიმონ ბეჟანის ძე რუხაძემ, დავით სიმონის ძე ლუკიანოვმა და მღვდელმა სპირიდონ ლეკვეიშვილმა; თითო მანეთი: მიტროფანე ლაღიძემ, ერმილე ლომიძემ, ტარიელ დიმიტრის ძე გაბუნიამ, კონსტანტინე ალექსის ძე ბალავაძემ, ვასილ ბეჟანეიშვილმა, ლაზარე ვასილის ძე ხმალაძემ, ანთიპოზ ბესარიონის ძე გორგაძემ, ნოე ფილიპეს ძე აბრამიძემ, კარპე ფირანის ძე შენგელიამ, დიმიტრი ბოკერიამ, ბესარიონ გლახუას ძე გაბუნიამ, ალექსანდრე გრიგოლის ძე ახვლედიანმა, ბეჟან ლექსის ძე ასათიანმა, ნადეჟდა ილარიონის ასულმა მიქელაძემ, მარიამ ოტიას ასულმა ვარდოსანიძემ, მღვდ. ილია მათიკაშვილმა, მღვდ. ალექსი გიორგაძემ, ალ. ალ. გარსევანიშვილმა, თომა აბრამის-ძე მთავრიშვილმა, ელიზბარ დავითის-ძე კვანტალიანმა, სამსონ კალანდარიშვილმა, ნიკო სოლომონის-ძე ჩიქოვანმა, ფარნა ბეჟანის-ძე ვაბუნიამ, დიმიტრი მიხეილის-ძე ბახტაძემ, ივანე გრიგოლის-ძე ცხაკაიამ, ივანე კილაძემ, პავლე ნიკოლოოზის ძე ჩაკვეტაძემ, ნეონილა ბესარიონის ასულმა ჩხეიძემ, იოსებ პავლეს ძე ჩხეიძემ, ნატალია ყარამანის ასულმა მგელაძემ, ანასტასია სპირიდონის ასულმა მგელაძემ, ნინა ყარამანის ასულმა მგელაძემ, პარმენ ჰიჰინაძემ, კ. ლორთქიფანიძემ და რუბენ თოფურიამ; სამი აბაზი: იოსებ ლოლობერიძემ; ათ-ათი შაური: ვლადიმერ იულიანეს ძე თოფურიძემ, სამსონ სიმონის-ძე გეგეჭკორმა, იონა გიორგის-ძე [illegible]ლარიამ, თამარა ილარიონის ასულმა მიქელაძემ, ევგენი გვაჩის-ძე ჯაბუამ, იაკობ მათეს-ძე [illegible], კონსტანტინე პეტრეს-ძე ჩემიამ, სტეფანე [illegible]შვემა, ვასილ ალექსანდრეს-ძე ნემსაძემ, ნიკო კემულარიამ, ნესტორ სერგის-ძე ბარაბაძემ, თადეოზ გაბრიელის-ძე ბალანჩივაძემ, დავით ნიკოლოოზის-ძე ლორიამ, ფარსადან ზურაბის-ძე ნემსაძემ და მიხეილ დარახველიძემ; ორ-ორი აბაზი: პეტრე მაჭავარიანმა და ნესტორ გიორგის ძე კიკაბიძემ; ექვსი შაური: ვალერიან ლორთქიფანიძემ; ხუთი შაური: დავით ბოკერიამ. და სრულიად: 65 მანეთი და 45 კაპ.

ყველა ზევით დასახელებული შემოწირულებანი ჩვენ დიდი ხანია მიღებული გვაქვს, მაგრამ გამოცხადება დავაგვიანეთ იმის გამო, რომ სხვა პირთაგანაც ველოდით დახმარებას და ყველა ერთად გვინდოდა გამოგვეცხადებინა. სამწუხაროდ, იმედი არ გაგვიმართლდა და ჩვენმა ლოდინმა ამაოდ ჩაიარა. ბოდიშს ვიხდით ჩვენს თანამგრძნობელ დასახელებულ პირთა წინაშე.

ამხანაგთა მინდობილობით, ი. მოსეშვილი.

II

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ რედაქტორს-გამომცემელს ჟურნალ „მოგზაურისას“ ბ-ნ ი. პ. როსტომაშვილს, რომელმაც უსასყიდლოდ გამოგვიგზავნა თავისი ჟურნალი წარსულს 1901 წელს და ამ 1902 წელსაც გვიგზავნის. პირადად მე და ჩემდა რწმუნებული მრევლი, ძველ სამხრეთ საქართველოს მკვიდრნი, მადლობას ვწირავთ, როგორც ბ-ნ როსტომაშვილს, ისე თქვენ „ივერიის“ გზავნისათვის.

მოშავრის ხეობის ქართველთა მღვდელი

სტეფანე ბაიდოშვილი.

სასოფლო საზოგადოების წარმომადგენელნი გლეხნი ბოლნისიდან: ივანე თანდარაშვილი, ქვეშიდან: დავით აქულაშვილი, ტანძიიდან: პავლე ბარამიძე, რატევნიდან: ნიკო გოგებაშვილი, აკაურთიდან: ილია მიქელაშვილი.

სოფ. ქვეში (ბორჩალოს მაზრა).

შემახელების სასარგებლოდ შემოწირულება.

(იხ. № 40.)

რედაქციამ მიიღო შემახელთა სასარგებლოდ ნიკოლოოზ ბესარიონის ძის ლოლობერიძისაგან 20 მან., თ-დის იოსებ თადეოზის ძის ამირეჯიბისაგან 20 მ. წინანდელი შემოწირულება 116 მან. 45 კ., სულ 156 მან. 45 კ.

დეპეშა

„(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).“

17 თებერვალი.

პეტერბურგი. ფინანსთა სამინისტრომ ნება დართო, რომ რუსეთის ბაზარზე თითოეულმა ქარხანამ დამატებითის ბაჟის გადაუხდელად გაჰყიდოს წინანდელ 60 ფუთი შაქრის გარდა კიდევ 47,5%; ყოველმა ქარხანამ ხელუხლებლად და სათადარიგოდ უნდა გადასდოს $10^7/_{16}$%; დანარჩენი შაქარი თავისუფალია.

15 თებერვალს ბუხარის ემირი თავის შვილით სადარბაზოდ იყო საიმპერატორო გვარეულობის პირებთან და ფინანსთა და საერო განათლების მინისტრებთან.

„ცერკოვნ. ვედომოსტ.“-ში გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ სასულიერო სასწავლებლებში გალობის მასწავლებელთ მიენიჭოთ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი.

„პრავიტ. ვესტ.“-ში გამოცხადებულია დაწვრილებითი ანგარიში პავლოვსკის სექტანტების საქმისა: 17 ბრალდებული გაამართლეს; 45-ს ჩამოერთვა უფლება და გაგზავნილ იქმნებიან კატორგაში 4-დან 15 წლის ვადით; 3-ს ჩამოერთვა ყოველი განსაკუთრებული უფლება და უპირატესობა და დაპატიმრებულ იქმნებიან 8 წლით; ერთს მიესაჯა 3 თვით დაპატიმრება უფლებათა ჩამოურთმევლად. დადგენილია აგრეთვე იშუამდგომლონ ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რომ კატორგაში გასაგზავნ დამნაშავეთ სასჯელი შეეცვალოთ, სახელდობრ: კატორგის მაგიერ ციმბირში სამუდამოდ გადასახლებულ იქმნენ.

ლონდონი. ბროდრიკმა წაიკითხა პალატაში კიტჩენერის დეპეშა გარისმიტიდგან. კიტჩენერი იუწყება, რომ გარისმიტთან, სხვადასხვა მოხერხებულის მოქმედებით, ინგლისელებმა მოჰკლეს და დაატყვევეს 600 ბური, რომელთა შორის არიან დევეტის შვილი და მდივანი. კიტჩენერი უმატებს, რომ ბურების ეს დამარცხება კარგ დროს მოხდაო: სწორედ იმ დღეს, რა დღესაც მაიუბასთან დამარცხდნენ ინგლისელები. პალატა ტაშის კვრით მიეგება ამ ამბავს.

განჯა. განჯის გუბერნიის მაზრების უფროსთა კრებამ სასურველად სცნო დაარსება ბამბის საცდელ მინდვრისა და ბამბის თესლის ორის საწყობისა, საიდგანაც გლეხებს უნდა მიეცეთ სესხად საუკეთესო თესლი; ამ წლისათვის კრებამ საჭიროდ იცნო გამოიწეროს მერვიდგან 600 ფუთი ბამბის თესლი. ეს თესლი ნაღდ ფულად და ნისიად დაურიგდება გლეხობას.

მოსკოვი. პუბლიცისტმა გილიაროვსკიმ ჩამოიტანა მალოროსიიდგან გამოფენისათვის სავარძელი, რომელშიაც მოკვდა გოგოლი

რეოდა. მისი მოპირდაპირე-კი ზიზღით შეჰყურებდა და ბოლოს ჩაილაპარაკა... წამოდგა და გავიდა ოთახიდან. არ კი მოგახსენეთ, ბატონო, რომ აყეფდება-მეთქი! —მითხრა სინდრომ—სულ ასეა და კაცი ხმას არა სცემს! მადლობა ღმერთს, რომ ახლაც ისევ მისმა რჯულისამ მოუქნია ჯოხი!..

—ეს ყმაწვილი კაცი ვინ იყო?

— რა მოგახსენოთ! ახალ-მოსული უნდა იყოს!

გაიარა დიდმა ხანმა. ერთხელ ანდრია ღულაძეს, «ნობათის» რედაქტორს, კრება ჰქონდა. თანამშრომლებთ რიცხვში ერთი რუსიც ერია. შეხედვისათანავე ვიცან: «სასტუმრო-საქართველოში» რომ რ—ვს ედავებოდა, ის კაცი იყო. მასპინძელმა გამაცნო: სალავიოვ-ნესმელოვი, ჩემი ამხანაგიაო. მისი მსჯელობა საზოგადოდ მომეწონა. გამოთხოვების დროს გავეხუმრე: თქვენ კიდევ აქა ხართ!—რაც თქვენ ერთხელ სასტუმროში აზრები გამოსთქვით, ამდენ ხანს როგორ მოგაცდევინესთ ჩვენში?.. მართალი ნათქვამია: „ერთი ხისაგან ჯვარიც გამოვა და ბარიცო“. ამასთან რუსების, როგორიც იყო განსვენებული სალავიოვ-ნესმელოვი, ღმერთი იყოს მფარველი სიცოცხლეში და რომ გადიცვლებიან, საუკუნო განსვენება ნუ მოაკლოთ. ამინ.

აკაკი.

და აგრეთვე ჯერ დაუბეჭდელი წერილები და სხვა-და-სხვა სურათები.—მეღვინეთა და მევენახეთა კრებაზე დამსწრენი ორ თანასწორ ნაწილად გაიყვნენ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს, თუ რა არის ნამდვილი ბუნებრივი ღვინო.

ბერლინი. მაისის დამლევს სპარსეთის შაჰი ევროპაში გაემგზავრება და, სხვათა შორის, ბერლინშიაც შეივლის.

პეტერბურგი. ასტრახნიდგანა და ვილნოდგან ამბავი მოვიდა, რომ იქაც ემზადებიან გოგოლის ხსენების დღესასწაულისათვის.

ლონდონი. პალატა. სხდომის დასასრულ ბროდრიკმა წაიკითხა კიტჩენერის შემდეგი დეპეშა: „ეს არის ეხლა მივიღე ცნობა, რომ ბურების თავ-დასხმის დროს დონოპის ჯარზე მათ დაატყვევეს 16 აფიცერი და 451 ჯარის-კაცი; მაგრამ შემდეგ გაანთავისუფლეს ერთი აფიცერი და 105 ჯარის-კაცი; ჯარის უფროსი პოლკოვნიკი ბურებს არ განუთავისუფლებიათ; ქვეითა ჯარის უფროსიც დაჭერილია, რის გამოც დაწვრილებით ცნობები ამ ბრძოლის შესახებ არ მოგვსვლია.» ბროდრიკი დასძენს, რომ ალბად ინგლისელთ 120 კაცი მოუკლესო.

ლონდონი. როგორც დღეს დაბეჭდილ სიიდგანა სჩანს, დონოპის ჯარს ბურებმა 119 კაცი მოუკლეს.

პარიჟი. როდესაც მინისტრ-პრეზიდენტი ვალდეკ-რუსსო თავის ძმის-წულით მოდიოდა ნადიმიდგან, მის ეტლს დაეჯახა ტრამვაის ვაგონი; ეტლი გადაბრუნდა; მინისტრ-პრეზიდენტი და მისი ძმისწული მძიმედ დაჭრილნი არიან; ცხენი სასიკვდილოდ დაშავდა; მეეტლე სუბუქად არის დაჭრილი. ექიმების განცხადებით, ვალდეკ-რუსსოს არა უშავს-რა.

ვენა. გაზეთი „ფრენდენ ბლატ“-ი ამბობს: თუ რამე მოულოდნელი შემთხვევა არ მოხდა, შესაძლებელია კონვენცია შაქრის შესახებ ხვალ იქნეს ხელ-მოწერილიო.

განჯა. მაზრების უფროსთა კრებამ სასურველად იცნო დაარსდეს სასოფლო სკოლებთან თუთის სანერგეები, საჭიე სახლები და გავრცელებულ იქმნას ხალხში საუკეთესო გრენა.

პეტერბურგი. უმაღლესად ნება დართულია, რომ ხარკოვის საადგილ-მამულო ბანკმა, თავის მოღვაწეობის განახლებისათვის, შესცვალოს უწინდელი აქციები ახლებით; აქციონერებმა თითო აქციას უნდა დაუმატონ 33 მან. და 34 კ.; ბანკს ნება მიეცა გამოსცეს ახალი აქციები 1,424,200 მანეთისა.—საიმპერატორო ერმიტაჟის თეატრში, მათ უდიდებულესობათა თანა დასწრებით გაიმართა წარმოდგენა, შემდეგ ვახშამი და ბოლოს —ცეკვა. ჩვეულებრივი სახალხო სეირნობა ყველიერის დღეებში მთავრობამ აკრძალა.—დაიხურა მეთევზეობის მოღვაწეთა კრება.

პოლიციამ დაატუსაღა არხიმანდრიტის ნიკონის მკვლელობის განმზრახველი; იგი ყოფილა მოქალაქე ივანოვი, 17 წლისა. ჯვარი, რომელიც ნიკონს წაართვა, 3 მან. 75 კაპ. გაუყიდნია.

ტულა. თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა ტულაში დააარსონ სათავად-აზნაურო პანსიონ-თავშესაფარი ასის შეგირდისათვის. ბელევში, ჟუკოვსკის სამშობლოში, ქალაქმა და ერობამ გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრან ჟუკოვსკის ძეგლის ასაგებად ფულის მოკრების ნებართვაზე.

კონსტანტინეპოლი. რუსეთის ელჩმა მოითხოვა, რომ სასტიკი ზომები იქმნას მიღებული იპეკის ქრისტიანთა დაცვისა: წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ზომებს არ მიიღებენ, პასუხს აგებს ოსმალეთის მთავრობაო.

მიტავა. გერმანიის სანავოსნო საზოგადოებანი აარსებენ სწორე მიმოსვლას ვინდავასა, ლიუბეკსა და ჰამბურგს შორის.

ჰელსინგფორსი. „ფინლანდიის გაზეთში“ გამოცხადებულია, რომ ვიცე-გერადესგევეინის გრუნდსტრემისა და მაგისტრის გუბერიუსის სადგომები გასჩხრიკეს; პირველში იპოვნეს ყუთი აკრძალულის გამოცემებით. ვექილს კიტნს და წიგნების გამყიდველს ვენცელ ხაგელსტამს უნდოდათ ძალით დაემალათ გამოცემათა წაღება. მეორე სადგომში ვერაფერი ვერ იპოვეს; ღამე ეზოდან გაიტანეს ორი ფურგუნი, დაბეჭდილ ნაწარმოებებით დატვირთული; კონსტაბლს უნდოდა დაეჭირა ფურგუნები, მაგრამ ცხენები გააჭენეს. გამოძიება სწარმოებს.

ტულა. დღეს მოხდა საგანგებო საგუბერნიო კრება. პანაშვიდის შემდეგ საკრებულო დარბაზში დასდგეს იმპერატორის ალექსადრე მესამის ქანდაკება. ამის გამო გუბერნიის წინამძღოლმაა. არსენიევმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც დაასრულა შემდეგით: „დეე, საშვილიშვილოდ დაცული იყოს იმისი ალთქმა—მართლ-მადიდებლობა, თვით მპყრობელობა, ხალხოსნობა“. კრებამ დაადგინა ეს სიტყვები დააწეროს ძეგლს.

ლონდონი. კიტჩენერის დეპეშაში აწერილია ორი უკანასკნელი მოქმედება ინგლისის ჯარებისა: ბურები უკუ-აქციეს ბლოკჰაუზებთან გარისმიტიდან ვანრენენის ხეობამდის; მოკლული იქმნა ბურების წინამძღოლი მარია ბოტა და იმასთან 35 კაცი. ბურების ორმა პატარა რაზმმა თავს უშველა. მეორე დღეს ტყვედ წაიყვანეს 450 ბური, სულ ერთად მოკლული და ტყვედ წაყვანილია 600-ზედ მეტი ბური; წაყვანილია 2,000 ცხენი და 28,000 სული საქონელი, 60,000 ცხვარი, 200 ურემი, 600 თოფი და 500,000 ტყვია. დატყვევებულთა შორის არიან დევეტის შვილი და რამდენიმე ფელდ-კორნეტი.

ნაციონალისტი ბოლენდი შეეკითხა მთავრობას—ფიქრობს თუ არა იგი გამოაქვეყნოს სადღესასწაულო ნოტები 14 აპრილს 1898 წ. ელჩებს შორის მომხდარ შეთანხმების შესახებაო. ჰიქს-ბიჩმა, ხაზინის კანცლერმა, უპასუხა, რომ ეს საქმე ისეთი არ არის, რომ შეიძლებოდეს დაუყოვნებლივ გამოქვეყნება: მთავრობას ცნობა არ მიუღია, რომ ამ ნოტის გამო რომელსამე სახელმწიფოს ხმა ამოეღოსო.

პარიჟი. ვალდეკ-რუსსოს შემთხვევა უფრო საგულისხმიეროა, ვიდრე ეგონათ. გარდა ჭრილობისა სახესა და ხელებზე, მთელი ნაჭერი ტყავი აქვს ამოგლეჯილი 7 სანტიმეტრის სიგრძისა და ძალიან დაშავებული აქვს მხარი; დილაზე მხარს გაუსინჯავენ რენტგენის სხივების დახმარებით. ავადმყოფს ეჭირვება ორის კვირით დასვენება.

პარიჟი. ვალდეკ-რუსსომ ღამე ცოტა ცუდად გაატარა. ექიმებმა ბიულეტენი შეადგინეს: „მდგომარეობა რიგიანია. მხარს გაუსინჯავენ დღეს“.

ტომსკი. გამოცხადდა გუბერნატორის სავალდებულო დადგენილება, რომელიც უკრძალავს თავის მოყრას ქალ. ბარნაულსა, ბიისკსა, კაშინსკსა და მარიინსკში და სოფელ ნოვო-ნიკოლაევსკში.

პეტერბურგი. ტომსკისა და ომსკიდგან იტყობინებიან, რომ ემზადებიან გოგოლის იუბილეის სადღესასწაულოდ.

17 თებერვალი.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია ფინანსთა მინისტრის ცირკულიარი სააქციზო გადასახადების მმართველების მიმართ; ამ ცირკულიარით ეს მმართველები აღარ წარადგენენ საკანტროლო პალატაში თვე-და-თვე ლუდის გამოხდის ნებართვის მოწმობებს.—რადგანაც ოფიციალურის ცნობებით შავი ჭირი სმირნაში და ბეირუტში აღარ არის, ეს ქალაქები ამ მხრივ კეთილ-საიმედოდ არიან ცნობილნი. ბათუმიდგან მიმავალ გემებს აღარ დაათვალიერებენ, რადგან არ განმეორებულა საეჭვო შემთხვევა.—„პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია დაწვრილებითი ანგარიში იმ ფულისა, რომელიც დაიხარჯა მოუსავლობით დაზარალებულთა დასახმარებლად.—15 თებერვალს მათ უდიდებულესობათა ერმიტაჟის თეატრში გაიმართა მეხუთე წარმოდგენა.

14 თებერვალს ქუთაისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურთა დეპუტაცია წარუდგა დიდს მთავარს ვლადიმირ ალექსანდრეს ძეს, დიდ მთავრინას მარიამ პავლეს ასულს და ელენე ვლადიმირის ასულს. დიდმა მთავარმა ვლადიმირ ალექსანდრეს ძემ მისალმების პასუხად სთქვა: „დიდად გმადლობთ პატივისცემისათვის და იმ სტუმართ-მოყვარეობისათვის, რომლითაც მიიღეთ ჩემი ქალი დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასული. გულით ვუსურვებ ქართველ თავად-აზნაურობას აღყვავებასა და კეთილ-დღეობას და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო კეთილ-დღეობაში იქნება, სანამ რუსეთი იქნება.

ეკატერინბურგი. ყაზანის სამოსამართლო პალატამ ვერხოტურსკის მაზრის გლეხების საქმის გამო, რომელთაც პოლიციას იარაღით წინააღმდეგობა გაუწიეს, 10 კაცი გაამართლა, სამს 10 წლ. კატორგა გადაუწყვიტა, 4-ს ხუთის წლით, დანარჩენებს—პატიმართა გამასწორებელ რაზმსა და საპატიმროში დაპატიმრება. დადგენილია იშუამდგომლონ მის იმპერატორებით უდიდებულესობის წინაშე, რომ 10 წლის კატორგა ოთხის წლით იქმნას შეცვლილი.

კალუგა. წითელის ჯვრის ადგილობრივი კომიტეტი შემოწირულებას ჰკრეფს შემახელების სასარგებლოდ.

მოსკოვი. მევენახეთა კრებამ დაადგინა, რომ ბუნებრივ ღვინოს არ უნდა ერიოს ისეთი რამ, რასაც ყურძენთან კავშირი არა აქვს.

ლონდონი. კიტჩენერი დეპეშით იუწყება, რომ ბურებმა ახლა-ხან მომხდარ შეტაკებებში დაჰკარგეს 800 კაცამდე.

ის ხმა, ვითომც იუანშიკაის დაექირავებინოს იაპონელი ინსტრუქტორები ჩრდილოეთ პროვინციების ჯარის გასაწვრთნელად, მართალი არ არის. მოწვეულია მხოლოდ მაიორი ტაშიბანო.

18 თებერვალი

ნიჟნი-ნოვგოროდი. კრემლევის პოლკის უნტერ-აფიცერი ასტაფიევი შევიდა კაზარმაში და იქიდან დაიწყო სროლა, მოკლა კაზარმის პირდაპირ მცხოვრების ჟანდარმის პოლკოვნიკის მოსამსახურე გოგო, რომელიც ამ დროს ქუჩაში იყო და ორი ქუჩაზე მიმავალი კაცი. ასტაფიევი თოფს სროლულობდა სამ საათის განმავლობაში, შეუძლებელი იყო მისი გაჩერება, ცეცხლის ჩამქრობმა რაზმმა ვერა გააწყო-რა. ასტაფიევმა ბოლოს თავი მოიკლა, ამბობენ შეშლილი იყო და მთელი დღე ლოთობდაო.

ბაქო. ვოლოჩისკიდგან დეპეშა მოვიდა, რომ «ორიონის» საზოგადოების გამგე ასლანოვი შეიპყრეს. კომისიამ გამოიკვლია მაზრის 18 დაზარალებული სოფელი: მოკლულია 42 კაცი, დაჭრილი 10, შინაური პირუტყვი დაიღუპა 167 თავი, 1361 სახლიდგან დაიქცა 840, დაზიანდა 271; მიწის ძვრისაგან დაზარალდა აგრეთვე 68 შორებული სოფელი, თუმცა ცოტად-კი.

მოსკოვი. მეღვინეთა კრებამ დაადგინა, იშუამდგომლოს, რათა რუსულ ღვინოსთვის დადგენილი წესები გავრცელებულ იქმნას უცხოურ ღვინოზედაც, რომელსაც ადგილობრივი სავაჭრო პალატები უნდა აძლევდეს მოწმობას და უცხოური ღვინო დამოჟნებში უნდა გადაასხან ბოთლებში ფინანსთა მინისტრის თანადასწრებით.

ჩერნიგოვი. გარდაიცვალა ნოვგოროდ-სევერსკის ეპისკოპოსი ფილიპე.

ვარშავა. გუპა-ბანკოვის რკინეულობის ქარხანამ განიზრახა მანქანების დამზადება, რათა განდევნოს გერმანიის საქონელი; ნიმუშად დამზადებული გუთნები კარგი გამოდგა. სახლის პატრონები კვლავ შუამდგომლობენ, რომ შემცირებულ იქმნას გადასახადი, რადგან ვარშავაში ფასები ძალიან დაცემულია.

განჯა. დაარსდა კომიტეტი შემახელთა სასარგებლოდ შემოწირულებათა შესაკრებად.

ოდესსა. ხორბლის საწყობებში იმყოფება პური 300 ათ. და ქერი და სიმინდი 100 ათ. ჩეტვერტი.

ვილნა. წითელის ჯვრის აქაური გამგეობა აგროვებს შემოწირულებათ შემახელთა სასარგებლოდ.

ტამბოვი. შეწყვეტილ იქმნა იაფ-ფასიანი ლექციები ჰიგიენისა, ფიზიკისა და ფსიხოლოგიის შესახებ, რომელთაც ჰმართავდა შაბათობით საფიზიკო-სამედიკო საზოგადოება და რომელთაც ბევრი ხალხი ესწრებოდა ძალიან, რადგან ამ ლექციებზე მოსწავლე ახალგაზდობას ურიგოდ ეჭირათ თავი.

პარიზი. მინისტრ-პრეზიდენტი კარგად არის, მხოლოდ საჭიროა სრული მოსვენება.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება—14 თებერვალს ბურებმა დაჰკარგეს: 50 მოკლული კაცი, 10 დაჭრილი და 759 ტყვედ წაყვანილი; 11 თებერვალს-კი 100 ბური დავატყვევეთო.

პეტერბურგის ბირჟა, 15 თებერვალი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში მარკაში 100	
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში „	46,27½
პარიჟში „	37,67½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	376 მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	298 გაყიდ.
4½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	94⁶/₈
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	85⅛ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	
აქციები „	
„ კასპიის ამხანაგობისა	4, 350 წვ. გაყ.
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	—
„ ა. ი. მანთაშევისა დ ამხ.	168 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ) (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ. ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს.) 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადება

ПРОДАЖА

яблонь и грушевихъ деревьевъ,

премированныхъ золотою медалью, на Кавказской выставкѣ 1901 года изъ Лагодехи, Об—ва „Трудъ“ Африкяна.

Михайловскій пр. д. № 101. Пансіонъ Теръ-Степанова.

(4—289—2)

მკურნალი

ნ. ტ. მულინი.

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევს 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნი 18. (წლ.)

ფოთის სამარხ კასის გამგეობა აუწყებს კასის წევრებს, რომ კვირას, მარტის 3, საღამოს 6 საათზედ, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგურში დანიშნულია მორიგი საზოგადო კრება კასის წევრებისა 1901 წლის ანგარიშის განსახილველად, თანამდებობის კაცების ამოსარჩევად და გამგეობის წევრთა გასამრჯელოს დანიშვნის შესახებ მოსალაპარაკებლად. (3—6.—2)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათელა, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 „
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 „
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30 „
აბო ტფილელი, ე. კ.	30 „
Або Тифлисскій, Е. К.	5 „
ამბავი მადლის ქვისა	5 „
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 „
ათონის ივერიის მონასტრის ხელთნაწერი	1 მ. 50 „
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40 „
ბენია	10 „
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15 „
ბაში-აჩუკი, აკაკისა	30 „
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა	1 მ. 30 „
გლეხი კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. 20 „
გამზრდელი, აკაკისა	5 „
გასართობი	10 „
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	15 „
გუსტავ ვაზა	5 „
Грузинскій отрывокъ Калилы и димны, А. Хахановъ	60 „
გიორგი და მიხეილი	10 „
Древный Анчсхатскій соборъ Карбеловъ	20 „
დედა, ანდერსენისა	8 „
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 მ. „
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	20 „
Двѣ святины въ Кахетіи, Е. К.	10 „
Давидъ Гареджели, Е. К.	15 „
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	15 „
ელენე, მოთხრობა	5 „
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	40 „
Назрѣвшій вопросъ, Е. К.	„ 20
ოცი წლის წინად, გ. წერეთლისა	„ 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ	3 „
პატარა ლორდის თავგადასავალი	„ 30
პატარა ვეფხვის ტყაოსანი	„ 25
ამას გასდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა	„ 40
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა	1 „
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა	„ 60
საერო დღესასწაული	„ 25
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари,	1 р. „
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლისა.	3 „
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К.	30 „
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა	40 „
თამარ-დედოფლის სამკაული	10 „
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა	50 „
ისტორია ქართულ სტამბისა	15 „
იანიხარი, დ. ნახუცრიშვილისა	40 „
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I-II არ. ქუთათელაძისა	60 „
კოპერნიკიდგან დარვინამდე	10 „
კანდელი, მ. ლელაშვილისა	„ 15
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 50
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргарели	„ 30
კუბიკები ქართულის ანბანისა	1 20
ლექსები განდეგილისა	„ 50
ევდოშვილისა	„ 50
გრ. აბაშიძისა	„ 60
დ. გაბრუაშვილისა	„ 25
მელის წიგნი, გ. თუაიშვილისა	„ 40
მუშათა კითხვა	„ 15
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყონწოშვილისა	1 „
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა.	„ 40
მეცნიერებისთვის წამებულნი	1 „
Мцхетъ и его Соборъ. А. Натроева	1 50
ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლისა	„ 10
ნათელა, აკაკისა	„ 20
ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ისა	„ 20
ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი	„ 40
Новая постановка педагогическаго дѣла.	„ 20
სამი პოემა, ან. ფურცელაძისა	„ 50
სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა.	„ 5
საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ი. გოგებაშვილისა	„ 10
სახუმარო გასართობი	„ 10
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1 „
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა	„ 30
საყმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა	„ 05
სუმბული, ს. ქვარიანისა.	„ 21
ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჩავარიანისა	„ 50
უკვდავთ დღდღებანი, მ. ჯანაშვილისა	„ 15
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა	„ 50
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა	„ 20
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა	„ 40
ქეთო და სონა, საყმაწვილო მოთხრობა	„ 5
ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა	„ 25
ქართველი წმინდანები, გ. იოსელიანისა	„ 04
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	„ 30
ჩანგი, ვ. აბაშიძისა	1 „
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	„ 20
Царица Тамара, М. Джанашвили	„ 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარლისა	„ 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1 „
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	„ 50

Дозвол. цензурою. Тифлисъ 18-го Февраля 1290 г. გაზეთ „ტფილისის ფურცლისა“ და ექვ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.